ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი, 24 ოქტომბერი 1995 № 69 (207) ფასი 30 თეთრი


## ეგზომ ჯეელი ჯერ არავინ ყოფილა ორგზის ჩემპიონი




26 წლის გერმანელი მიხაელ შუმახერი მსოფლიოს უმრწემესი ორგზის ჩემპიონი შეიქნა. გარდა ამისა, იგი გახდა წევრი იმ მრბოლთა სიმბოლური კლუბისა, რომელთაც ზედიზედ მინიმუმ ორჯერ მოუგიათ ფორმულა-1-ის პირველობა. მიხაელამდე ეს ოდენ ხუთ კაცს: იტალიელ ალბერტო ასკარის, არგენტინელ ხუან-მანუელ ფანხიოს, ავსტრალიელ ჯეკ ბრებჰემს, ფრანგ ალენ პროსტსა და ბრაზილიელ აირტონ სენას მოუხერხებიათ.

გუშინწინ გამართული „წყნარი ოკეანის დიდი პრიზის“ წინ ბენეტონელი „შუმი“ 27 ქულით უსწრებდა უახლოეს მდევარს, უილიამსელ დეიმონ ჰილს (ბრიტანეთი). რაკიღა სეზონის ბოლომდე სამი ეტაპიღა რჩებოდა, ერთ რბოლაში კი მონაგრის მაქსიმუმი 10 ქულაა, შუმახერს 4 ქულაც ჰყოფნიდა შარშან მოპოვებული ტიტულის შესანარჩუნებლად. საამისოდ გერმანელი სამეულში უნდა მოხვედრილიყო, მაგრამ „შუმი“ რის ჩემპიონი იქნებოდა, „აიდას“ ოღროჩოღრო, მტვრიან, სლიპინა ავტოდრომზე მცირედს რომ დაჯერებულიყო: თუმც კვალიფიკაციაში ჩამორჩა ორივე უილიამსელს — კულტჰარდსა და ჰილს, რბოლაში მაინც იმარჯვა და თითქმის 15 წამი მოუგო მეორე ადგილზე დარჩენილ შოტლანდიელს, რომელიც რაკი გაისად მაკლარენში გადადის, უილიამსის მიერ დაწესებულ უფროს-უმცროსობას აღარა სცნობს და საჩემპიონოდ შეგულებულ ჰილს აღარ ეპუება.

საგაისოდ შუმახერი ფერარიში გადადის, ჰილი უილიამსში რჩება. კულტჰარდის ამბავი უკვე ვთქვით. უილიამსში ინდიკარიდან გამოდის კანადელი ვილნევი. ყველაფერი ეს გვაფიქრებინებს, რომ 1996 წელს „სამეფო რბოლების“ „კარუზოები“ უკეთეს შეჯიბრს გვიძღვნიან.

## „სამტრედიას“ ჯერ არ წაუგია! „დურუჯმა“ პირველი გოლი შეაგდო!

### ფეხბურთი

#### საქართველოს ჩემპიონატი

მე-11 ტური, 22 ოქტომბერი

ტორპედო 2:2 ეგრისი
მეტალურგი 3:1 ზუგდიდი
მარგვეთი 4:2 კოლხეთი
შევარდენი 1:4 სამტრედია
ივერია 1:1 დინამო
კახეთი 1:0 სიონი
გურია 4:1 დურუჯი

23 ოქტომბერი

დილა 2:0 ბათუმი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარგვეთი | 11 | 9 | 0 | 2 | 35-10 | 27 |
| მეტალურგი | 11 | 8 | 0 | 3 | 24-12 | 24 |
| სამტრედია | 9 | 7 | 2 | 0 | 30-11 | 23 |
| დინამო | 9 | 6 | 2 | 1 | 21-5 | 20 |
| დილა | 10 | 6 | 2 | 2 | 19-10 | 20 |
| ტორპედო | 10 | 5 | 3 | 2 | 24-12 | 18 |
| შევარდენი | 11 | 6 | 0 | 5 | 19-18 | 18 |
| კოლხეთი | 9 | 5 | 2 | 2 | 18-12 | 17 |
| ბათუმი | 9 | 4 | 3 | 2 | 15-9 | 15 |
| კახეთი | 11 | 4 | 2 | 5 | 10-16 | 14 |
| ივერია | 11 | 3 | 1 | 7 | 8-19 | 10 |
| ზუგდიდი | 9 | 3 | 0 | 6 | 19-27 | 9 |
| ეგრისი | 11 | 2 | 2 | 7 | 11-24 | 8 |
| სიონი | 11 | 2 | 0 | 9 | 9-26 | 6 |
| გურია | 11 | 2 | 0 | 9 | 9-27 | 6 |
| დურუჯი | 11 | 0 | 1 | 10 | 1-33 | 1 |



შევარდენი — სამტრედია 1:4. ზაზა ჯანაშია და გიორგი მჭედლიშვილი ბურთს ელიან.

იხილეთ მეორე გვერდი

## ოთხი წაგება ოთხ თამაშში

უცხოეთს წასული ჩვენი ორი ახალგაზრდული ნაკრებიდან ვერც ამჯერად ივარგა ვერცერთმა. 16 წლამდე ახალგაზრდული ნაკრები (მწვრთნელი გაიოზ დარსაძე) უკრაინაში მასპინძლებთან 0:1 დამარცხდა, ლატვიელებთან კი 0:5. რაც შეეხება 18 წლამდე ახალგაზრდულ ნაკრებს (მწვრთნელი ნიკა ამირეჯიბი), მათ ავსტრიაში ასევე პირველი თამაში წააგეს მასპინძლებთან 1:3 და ვერც მეორე მატჩში ივარგეს იუგოსლავებთან — 0:3.

### კალათბურთი

#### საქართველოს ჩემპიონატი

ვერის ბალი. I ჯგუფი

23 ოქტომბერი

**სდასუ — მერანი 93:59**

სდასუ: ეგუტია (12), მუშკუდიანი (6), გიგაური (9), ქევხიშვილი (2), ძიძიგური (12), ნიკოლაძე (14), მერკვილაძე (2), ჭეიშვილი (11), ახობაძე, ჩხეიძე (21), დოლიძე, გაბრიჩიძე (4)

მერანი: ბარბაქაძე (11), დ.ბერიშვილი (16), ი.ბერიშვილი (10), ქურასბედიაშვილი (4), ჩხიკვაძე (2), კობიძე (16)

**შევარდენი — თორსი 61:48**

შევარდენი: ისაკაძე (26), მაჭავარიანი (5), ფიოდოროვი (14), ინაძე (3), ქართველიშვილი (2), მოისწრაფიშვილი, ლვინეფაძე (2), თაბუაშვილი (9)

თორსი: თორთლაძე (8), სვანიძე (2), ცაგარეიშვილი (9), ორჯონიკიძე (7), მიქაძე (5), ხარაძე (10), ბოლქვაძე (7)



## გამარჯვების ბადალი ფრე

მას შემდეგ, რაც ქართველმა „შავარდნებმა“ შემუსრეს გერმანია, საშინაო ასპარეზს მიუბრუნდნენ და ერთურთს დაუწყეს „საქმის გარჩევა“. პარასკევს კლუბთა „დიდი ოთხეულის“ უკლებლივ ყველა წევრი ვიხილეთ ვაკის სტადიონზე, სადაც რაგბი კარგა ხნის მერე დაბრუნდა. ერთობ ფიცხელი გამოდგა „აიასა“ და „გუმარის“ წელს უკვე რიგით მეხუთე შერკინება, რომელიც ორი წინანდელივით ფრედ დამთავრდა. ეს შედეგი ხელს აძლევს „აიას“, რომელმაც ფაქტობრივად მოიპოვა ჩემპიონობა.

იხილეთ მეშვიდე გვერდი

საქართველოს ჩემპიონატის პირველი ჯგუფი. XI ტური. 22 ოქტომბერი

# „სამტრედია“ არჩევნებს ელოდება

**შევარდენი 1:4 სამტრედია**

შევარდენი-ლოკომოტივი: აბუსერიძე, ალადაშვილი, მჭედლიშვილი, თამაზაშვილი, ყორყიკაშვილი, დათვაძე, კანკავა, მინდიაშვილი, გოგოლაძე, მაზანაშვილი, მოსულიშვილი (კალუგა 46)
სამტრედია: ჭანტურია, იონანიძე, გუჩუა, ზ. ჭელაძე, ბერაძე, ბ. დარასელია (ამაშუკელი 57), გოგიაშვილი, გ. დარასელია, დ. ჯანაშია, ზ. ჯანაშია (ჩომახიძე 76), ჩხაიძე (რუხაძე 85)
0:1 გ. დარასელია (10), 0:2 იონანიძე (43), 0:3 დ. ჯანაშია (45) 0:4 გ. დარასელია (47), 1:4 მაზანაშვილი (67)
გაფრთხილება: გუჩუა
მსაჯი: გ. ასკარ-ოღლი (ქარელი)


გიორგი დარასელიას პირველი გოლი

ლოკომოტივყოფილისა და გალოკომოტივებულის შეხვედრა ტურისცენტრალური მატჩი გამოდგა. სეზონის წინ და მისი მიმდინარეობისას ალბათ არცერთ გუნდზე არ დაწერილა იმდენი, რამდენიც ამ ორზე. მიზეზი კი, რა თქმა უნდა, სხვადასხვაგვარი იყო: სამტრედიელებზე ამბობდნენ, ფინანსურად ისე გასჭირვებია, იშლებიანო, თბილისელებს კი ეს პრობლემა არ აწუხებდათ, პირიქით, ფინანსურად მომძლავრებულიყვნენ და დავა კლუბის სახელზეც იყო ატეხილი. სიტყვამ მოიტანა და, როგორც ბოლოსდაბოლოს გავარკვიე, თბილისურ კლუბს ახლა ოფიციალურად „შევარდენი 1906 — ლოკომოტივი“ ჰქვია, ყოველ შემთხვევაში, გუნდი პირველ წრეში ამ სახელით იასპარეზებს. რაც შეეხება სამტრედიელთა ფინანსურ გაჭირვებას და დაშლას, ამაზე მათმა პრეზიდენტმა ტარიელ ჩაჩუამ ეს მიპასუხა: „სამტრედია“ მხოლოდ ჩემი სიკვდილის შემდეგ დაიშლებაო. სასიკვდილო კი ამ ახალგაზრდა კაცს ჯერჯერობით არაფერი სჭირს, ის კი არა, ისე კარგად გრძნობს თავს, რომ სამტრედიაში არჩევნებში მონაწილეობასაც აპირებს. სხვისი არ ვიცი, მე კი ძალიან გამიხარდება ტარიელ ჩაჩუას პარლამენტში არჩევა, რაკილა მაშინ ალბათ უფრო მეტი ყურადღება მიექცევა გუნდს და საერთოდ ფეხბურთსაც ამ რეგიონში. ეს კი ისევ საერთო წისქვილზე ასხამს წყალს, რადგან დღეს ქართულ ფეხბურთს სწორედ ამნაირი შეძლებული და ფეხბურთში ფანატიკურად შეყვარებული ხალხი სჭირდება.

სიტყვა კი გამიგრძელდა, მაგრამ ზემოთქმულის ართქმა არ იქნებოდა. მატჩის ინტრიგა იმასაც უნდა გაემძაფრებინა, რომ ერთმანეთის წინააღმდეგ ორ ძმა ჯელაძეს უნდა ეთამაშა, მაგრამ რაკილა შევარდნელმა ძმამ გიზომ წინა მატჩში „დინამოსთან“ მეორე გაფრთხილება მიიღო, ძმათა დუელი არ შედგა. უფროსი კი რიგიანად გაისარჯა და დიდი წვლილიც შეიტანა შევარდნელთა იერიშების მოგერიებაში.

მტჩის პირველივე წუთზე ზაზა ჯანაშიამ ძლიერად დაარტყა თბილისელთა კარში, მაგრამ ისე მომეჩვენა, თბილისელთა დაცვა შიშით თამაშობს-მეთქი და მართალიც გამოვდექი: მეათე წუთზე დათო ჯანაშიამ მარჯვნიდან ჩამოაწოდა მასპინძელთა საჯარიმოში, ბურთმა მცველებს თავზე გადაუფრინა და გიორგი დარასელია მოსძებნა, ამანაც აღარ დააყოვნა და ცაციათი ტექნიკურთან აბუსერიძისგან მარცხენა კუთხეში დაარტყა 1:0. თბილისელებმა მატჩის შემობრუნება კი დააპირეს, მაგრამ „სამტრედიამ“, შეკრულმა და მებრძოლმა გუნდმა, მეტოქეს საკუთარი ნება-სურვილი იქით მოახვია თავს. მომდევნო სამი გოლი სამტრედიელებმა ოთხ წუთში გაიტანეს — პირველი ტაიმის ბოლოს და მეორის დასაწყისში. მეორე, ჩემი აზრით, გადამწყვეტი გოლი იონანიძემ მცველთა მორიგი შეცდომის შემდეგ გაიტანა, ორ წუთში დათო ჯანაშიამ ივარგა, მეორე ტაიმი დაიწყო და, ისევ გიორგი დარასელიამ საბოლოოდ წაუხდინა ხასიათი მასპინძლებს. სტუმრებმა ამის მერელა მისცეს თავს მოშვების უფლება, სამი ფეხბურთელიც შეცვალეს და მაზანაშვილმაც პრესტიჟის გოლითლა შეალამაზა სასტიკი წაგება.


ბესიკ ბერაძის შეტევა

„სამტრედიამ“ მობილური, შეკრული გუნდის შთაბეჭდილება დატოვა, ერთხელაც არ მისცა შანსი „შევარდენს“, ხელში აღლო თამაშის სადავეები, მოკლედ, ცნობილი მოვლენების შემდეგ „სამტრედია“ არ დასუსტებულა, ის კი არა, ამ მატჩის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, გარკვეულწილად მოღონიერებულა კიდეც. უეჭველია, მეტად გასახარი ფაქტია: ეს ჩემპიონატი ისე დაიწყო, ოთხი-ხუთი გუნდი აცხადებს პირველობაზე პრეტენზიას, სამტრედიელთა დასუსტება კი ამათ ბრძოლას ეშხსაც დაუკარგავდა და ჩემპიონატსაც ინტრიგა მოაკლდებოდა.

რაც შეეხება მასპინძლებს: ჯონი ჯანელიძის მწვრთნელობაში ეჭვი არასდროს შემპარვია. ვფიქრობ, ახლა მას კარგი გუნდი არა ჰყავს, სერიოზულად რომ იბრძოლებს მედლებისთვის. თანაც გუნდი ახალი შეკრებილი და დაკომპლექტებულია. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ „შევარდენზე“ აგრე ხელაღებით ვილაპარაკოთ, მეორე წრეში გუნდი უეჭველად სხვა ფეხბურთს ითამაშებს და ბევრიც გამწარდება ამათგან.

არ შემიძლია მსაჯობაზეც არ ვთქვა. წინა „სარბიელში“ სერგო კვარაცხელია კარგად ამბობდა, დროა, ჩვენ, ქართველმა მსაჯებმაც, ევროპულად ვიმსაჯოთ და ჩვენი ფეხბურთელებიც შეეგუონ ამგვარ მსაჯობას, თორემ გავლენ ევროპაში და წითელ-ყვითელ ბარათების დასტას იღებენ. სწორედ ამნაირი მსაჯობის ნიმუშს უჩვენებდა გურამ ასკარ-ოღლი, რომელმაც სავსებით სამართლიანად გააფრთხილა გუჩუა, როცა იგი ზედიზედ ორჯერ გამოიჭრა სასტვენამდე ცოცხალ კედლიდან. მართალია, ამ ბარათისთვის ასკარ-ოღლის ტრიბუნიდანაც ბლომად აგინეს და მინდვრიდანაც, მაგრამ ამ ეპიზოდში იგი ცამდე მართალი იყო.

მატჩის შემდეგ ჯონი ჯანელიძემ ესლა განაცხადა: დღეს უდაოდ „სამტრედია“ გვჯობდა და ღირსეულადაც გაიმარჯვაო. რაც შეეხება სტუმართა მთავარ მწვრთნელს, მასთან საგანგებო ინტერვიუც გავახერხეთ, რასაც **კახა ელაშვილი** უდაოდ იმსახურებს. მურთაზ ხურცილავასა და ფეხბურთელთა ჯგუფის წასვლის შემდეგ სწორედ ელაშვილმა შეკრა გუნდი და, ისეთი პირი უჩანს, შარშანდელი „დინამო“ — „სამტრედიას“ დუელი მონაგონი იქნება.

**— ბატონო კახა, რა შეიცვალა გუნდში მურთაზ ხურცილავას წასვლის შემდეგ?**

— პირველ ყოვლისა, ტაქტიკა — ხურცილავა ერთი თავდამსხმელით შეტევასა და განაპირა მცველების აქტიურობაზე აგებდა თამაშს. ახლა ორი თავდამსხმელით ვთამაშობთ. რა თქმა უნდა, არის კიდევ პატარ-პატარა ნიუანსები, ყველა მწვრთნელს ხომ თავისებურად ესმის ფეხბურთი.

**— ბატონი მურთაზი საფეხბურთო საქართველოში ხელწამოსაკრავი პიროვნება არ გახლავთ. როგორ შეელია მას გუნდი, მაყურებელი, პირადად თქვენ?**

— რა თქმა უნდა, ყველას გული ყველას დაგვწყდა. პირადად მე მისი წასვლა ყველაზე მეტად განვიცადე. ხურცილავასთან ადრეც მიმუშავია და ცხონებული გიგა ნორაკიძის მერე ყველაზე მეტი სწორედ მისგან ვისწავლე. გარდა ამისა, ჩვენ ოჯახებითაც ვმეგობრობთ და როცა თბილისში ვარ, მუდამ ვსტუმრობ ხურცილავებისას. ახლაც დარწმუნებული ვარ, ბატონი მურთაზი სტადიონზეა და ჩვენს თამაშს თვალს ადევნებს. თუ საუბარი ცოტა გაგვიგრძელდება კიდეც, შესაძლოა ჩვენი შეხვედრის მომსწრეც გახდეთ. ყველა მოგებული თამაშის შემდეგ მისგან მილოცვას ვიღებ (ამჯერადაც ასე მოხდა მ.კ.).

**— ჩემპიონატში რას გეგმავთ?**

— სამეულში უეჭველ მოხვედრას და ევროთასების საგზურის მოპოვებას.

**— ფეხბურთელთა ჯგუფის, განსაკუთრებით, ცომაიასა და ჯიშკარიანის წამოსვლით გაჩენილი ხარვეზი როგორ ამოავსეთ?**

— მოგეხსენებათ, „სამტრედიას“ დიდი სათადარიგო სკამი აქვს და ამ უდაოდ ძლიერი ფეხბურთელების შეცვლა მაინც შევძელით.


კახა ელაშვილი

**— მატჩის წინ ისე ვიცოდი, რაღაც პრობლემა გქონიათ, თბილისში ვერ მოდიოდით. ისევ ფინანსური გასაჭირია თუ სხვა რამ?**

— ეს ავტობუსის მიზეზით მოხდა. სხვა მიზეზი არაფერია.

**— ახლა მთავარი მწვრთნელი ხართ თუ მოვალეობას ასრულებთ?**

— მე სამტრედიელი ვარ. როგორც გუნდის ინტერესები მოითხოვს, ისე მოვიქცევი. თუ „სამტრედიას“ დასჭირდა, მეორეში კი არა, მესამე მწვრთნელადაც ვიმუშავებ. ასე რომ, ფორმალურად რა მერქმევა, დიდი მნიშვნელობა არა აქვს.

გამარჯვებული გუნდის მწვრთნელი ამჯერად მეტად აღარ შეგვიწუხებია — ისეთი პირი უჩანს, კიდევ ბევრჯერ მოგვიწევს ამ კაცთან შეხვედრა.

მამუკა კვარაცხელია

გია ახალაძის ფოტოები

# მშვიდობას გაუმარჯოს!

**მეტალურგი 3:1 ზუგდიდი**

მეტალურგი: გ. დოლიძე (კოროშინაძე 75), ფოფხაძე, ბურნაძე (პერტია 60), ყაველაშვილი, თევზაძე, რეხვიაშვილი, ტარტარაშვილი, ჩალაძე (თ. დოლიძე 72) ბუცურეიშვილი, ზირაქიშვილი, ალადაშვილი
ზუგდიდი: კვარაცხელია (მიქავა 70), გუგუჩია, ე. ბერიშვილი, ასლანიშვილი. ჯაბუა, კ. ჭაჭუა, აფაქიძე, კუტალია (მ. ჭაჭუა 78), გაბედავა (ერქვანია 70), ქაძანაია, ლ. ბერიშვილი
1:0 ტარტარაშვილი (65), 2:0 ზირაქიშვილი (67), 3:0 ალადაშვილი (82), 3:1 ქაძანაია (85)
მსაჯი: ვ. ჩოჩიშვილი (თბილისი)

ჩვენი ფეხბურთელები რომ მაყურებელთა სიმრავლით არ არიან განებივრებულები, ეს ყველას კარგად მოეხსენება, თუმცა, თამაშის დასაწყისისათვის მაინც, გასაოცარი იყო მათი ასეთი სიმცირე — საქმე კი ის ყოფილა, რომ შეხვედრის დასაწყისად სამის ნაცვლად შეცდომით ოთხი საათი მიუთითებიათ და მაყურებლებმაც პირველი ტაიმის ბოლოსღა დაიწყო ტრიბუნების შევსება. რომც არ მოსულიყვნენ, ბევრს არაფერს დაკარგავდნენ, იმდენად უინტერესოდ და უფერულად ჩატარდა შეხვედრა. არადა, რა იყო მიზეზი ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერისა და ბრძოლის ჟინით ცნობილ ზუგდიდელთა მატჩის ასეთი უნიათობისა, ძნელი სათქმელია. ფაქტი კი ის გახლავთ, რომ ასეთი თამაშები მაყურებელს სტადიონზე მეორედ მოსვლის სურვილს უკარგავს.

ძოძუაშვილმა და თუთბერიძემ 4-4-2 ტაქტიკური სქემით ათამაშეს გუნდები. პირველი ტაიმი თანაბარი იყო, თუმცა ზუგდიდელებს კარის აღების უფრო რეალური შესაძლებლობები ჰქონდათ — ეს, ცხადია, მწვავე კონტრშეტევების წყალობით, მაგრამ ეგ იყო, სტუმრები ბოლო მომენტში გაუგებარ პასიურობას იჩენდნენ. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს ისინი გოლის გატანას ერიდებოდნენ. მსაჯის მოქმედებაც გაკვირვებას იწვევდა: ორჯერ რუსთაველთა საჯარიმოში კუტალია და აფაქიძე მოცელეს, ჩოჩიშვილმა კი რატომღაც ეს ვერ დაინახა. არანაკლებ უჩვეულო იყო ის, რომ არც ზუგდიდელებს უცდიათ მსაჯის გადაწყვეტილების აპელაცია. ერთი სიტყვით, მართლაც საოცარი მატჩი იყო. ზემოთაც ვთქვით, ზუგდიდელები ყოველთვის გამოირჩეოდნენ თამაშის ჟინით, რუსთავში კი რატომღაც გუგულებივით იყვნენ. არადა, აშკარად იგრძნობოდა, მასპინძლებზე არანაკლებ შეეძლოთ თამაში. უკანასკნელნი საკმაოდ ქაოსურად მოქმედებდნენ. ამბობენ, ძოძუაშვილის გუნდს ხშირად უმართლებსო, რაშიც ამ შეხვედრამაც დამარწმუნა. მიუხედავად სოლიდური ანგარიშისა, სტუმრები წაგებას არ იმსახურებდნენ. აშკარად გამოირჩეოდა თავდამსხმელთა დუეტი — ლევან ბერიშვილი და ვლადიმერ გაბედავა, რომელთაც ზვიად ქაძანაიაც ეხმარებოდა.

პირველი სახიფათო მომენტი დოლიძის კართან შეიქმნა — საკუთარი საჯარიმოს ხაზთან ერთ-ერთმა რუსთაველმა მცველმა ბურთი დაკარგა გაბედავასთან ბრძოლაში, ამ უკანასკნელმა კი ვერ (თუ არ) დაინახა მშვენიერ მდგომარეობაში მყოფი თანაგუნდელები და უზუსტოდ დაარტყა. რუსთაველებიც ერთი-ორჯერ დაემუქრნენ ზუგდიდელთა კარს ორიოდე დარტყმით, თუმცა სულ ეს იყო და პირველი ტაიმიც 0:0 — დასრულდა.

მეორე ტაიმში რუსთაველები ოდნავ გამოცოცხლდნენ და ეს მცირედი აქტიურობაც საკმარისი გამოდგა ანგარიშის გასახსნელად: ჩალაძე მარცხენა ფლანგზე გასცდა მცველებს, გადააწოდა ზირაქიშვილს, ამ უკანასკნელმა კი ტარტარაშვილს და ამანაც გაიტანა — 1:0. ორ წუთში ზირაქიშვილმა ანგარიში გაზარდა. იქვე ლევან ბერიშვილი მეკარესთან პირისპირ დარჩა და რატომღაც შეყოვნდა, მცველებმაც ბურთი აართვეს და შესაძლებლობაც დაიკარგა. ლევან ბერიშვილი ამის შედეგადაც გამოირჩეოდა თანაგუნდელებისგან და ალბათ, ერთად-ერთი იყო ზუგდიდელთაგან, მოგებაზე რომ ფიქრობდა. ამ დროს კი მისი პარტნიორი ვლადიმერ გაბედავა ბადრი თუთბერიძემ გაუგებარი მიზეზების გამო დაასვენა. არადა, სწორედ ეს ორნი ქმნიდნენ ყველაზე სახიფათო მომენტებს. 82-ე წუთი: პერტია შეიჭრა საჯარიმოში და მისი გადაცემით ალადაშვილმა სამამდე გაზარდა ანგარიში. მართალია, 84-ე წუთზე ზვიად ქაძანაიამ პენალტით შეამცირა სხვაობა, მაგრამ სულ ეს იყო. ანდა, როგორ არ იქნებოდა, როცა სტუმრებს მეტის სურვილიც არ ემჩნეოდათ, ლიდერმა კი მორიგი გამარჯვება მოიპოვა. თამაშის შემდეგ გავესაუბრე ზუგდიდელთა გუნდის უფროსს **ჯემალ გოგიას**.

**— მსმენია, ზუგდიდის ძველი გამგებელი ედიშერ ჩარგაზია ფეხბურთის დიდი მოყვარული იყოო. მისი გათავისუფლებით გუნდს ფინანსურად ხომ არ გაუჭირდა?**

— ბუნებრივია, რომ მისმა განთავისუფლებამ გვავნო, რადგან იგი დიდ ყურადღებას გვითმობდა, თუმცა, იმედი მაქვს, ახალი გამგებელი ბონდო ჯიქიაც არ იქნება ფეხბურთის მიმართ გულგრილი. ჩვენი ამოცანა წელს შვიდეულში მოხვედრა იყო ჯერ კი მხოლოდ მეთერთმეტეადგილზე ვართ. ამის ახსნა ძალზე ადვილია: გუნდი დატოვეს წამყვანმა მოთამაშეებმა — ჭანტურიამ, ბადრი დარასელიამ, გელა გაბისონიამ ამ მხრივ ამჟამადაც ცუდი ვითარებაა. დღეს, მაგალითად, ექვსი ფეხბურთელი გვაკლდა და შემადგენლობა როგორმე რომ შეგვევსო, ზუგდიდის „დინამო-2“-დან ხუთი კაცი დავიმატეთ, მაგრამ იმედი მრჩება, რომ მდგომარეობას გამოვასწორებთ. შარშან პირველ წრეშიც ჩავარდნა გვქონდა და შემდეგლა გამოვასწორეთ საქმე. თუ შარშანდელივით ხუთეულში ვერ მოვხვდებით, ადგილს ათეულში მაინც გავინაღდებთ.

**— არა მგონია, ათეული ან ხუთეული ზუგდიდისნაირი ქალაქისთვის შესაძლებლობის ზღვარი იყოს. მეტი კი რატომღაც არ კეთდება...**

— მართალია, მაგრამ ბოლო ათი წლის მანძილზე ზუგდიდში ვინც ხეირიანი ფეხბურთელი გამოჩნდა, ყველა ძლიერმა კლუბებმა წაიყვანეს. ისინი რომ დავიბრუნოთ, სავსებით რეალური იქნება არა მარტო საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლა. თავად განსაჯეთ, რამხელა ძალა ექნებოდა ერთი გუნდისათვის ზაზა ჯანაშია, გელა ჭანტურია, გელა გაბისონია, ბადრი დარასელია, გელა კვიტატიანი, კახა სართანია, მერაბ ბობოხია და სხვები. ასეთი ფეხბურთელების ხელში ჩემპიონობაზე ოცნებაც სავსებით რეალურია.

**— რა გიშლით ხელს, რომ ძლიერი გუნდი ჩამოაყალიბოთ? გასაგებია, ზუგდიდმა ყველაზე მეტად იწვნია სამოქალაქო ომის სუსხი, მაგრამ, როგორც ვიცი, ვითარება უკეთესობისკენ შეიცვალა.**

— გუნდი, ფაქტიურად ადგილობრივებით არის დაკომპლექტებული და თბილისის „დინამოს“, „სამტრედიისა“ და „კოლხეთის“ ნაირი შესაძლებლობაც არ გაგვაჩნია, ფეხბურთელები რომ მოვიწვიოთ.

**— რატომ ქალაქში არ სურთ ძლიერი გუნდის ყოლა?**

— როგორ არა, მაგრამ ომის ჭრილობები ასე მალე არ მოშუშდება. ამას წლები სჭირდება..საწარმოები არ მუშაობენ, ეკონომიკა თითქმის ჩამკვდარია და თუ შესაძლებლობა არ იქნა, გუნდსაც ვერ შევქმნით. მგონია, მეორე წრისთვის ყველაფერი გაკეთდება პრობლემის მოგვარებისათვის. ხუთი წლის წინ სტადიონის მშენებლობაც გვქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ რაც ფაცაცია პრემიერად გადაიყვანეს, მას შემდეგ საქმე ადგილიდან არ დაძრულა. არადა, მას დაწყებული ჰქონდა 15 000-იანი, თანამედროვე სტადიონის მშენებლობა.

**— სადაა გამოსავალი?**

— ბიუჯეტი რომ ექნება ქალაქს, დაბალანსებული და ნორმალური, მაშინ აშენდება სტადიონიც და გუნდიც გაძლიერდება.

მერაბ მამულაშვილი

# „ლოკომოტივში" დასაჯდომად არ მივდივარ


ზაზა ჯანაშია

„სამტრედია" — „მარგვეთის" მატჩი თავისთავად იყო საინტერესო — ერთმანეთს ხომ ლიდერები ხვდებოდნენ, მაგრამ, ვთქვა სიმართლე, ჩემი სამტრედიაში გამგზავრების უპირველესი მიზანი სამტრედიელთა თავდამსხმელთან ზაზა ჯანაშიასთან ინტერვიუ იყო. ჩვენი ავტობუსების გადამკიდემ, თამაშამდე ორი საათით ადრე ჩასვლას რომ ვვარაუდობდი, დიდ ინტერვიუს ვინ ჩივის, შეხვედრაზეც გვარიანად დავაგვიანე და სურვილიც ნაწილობრივ ავისრულე — ზაზა შესვენებაზელა ვნახე.. მის გულღიაობასა და ენაწყლიანობას შეჩვეულს მეუცხოვა, თავდაპირველად ისე სიტყვაძუნწად მპასუხობდა. იმ წუთებში სკოლის მოსწავლეს მივამსგავსე, მასწავლებელს ბევრი ლაპარაკისთვის რომ გაუფრთხილებია და ისიც ბეჯითად ასრულებს მის დავალებას. თუმცა თანდათან საუბარიც აეწყო...

— გავიგე, დაოჯახებულხარ, ისიც თქვეს, ტარიელ ჩაჩუა ძალიან დაეხმარა ამ საქმეშიო...

— მართალი უთქვამთ, ბატონი ტარიელი ძლიერ დამეხმარა, ფინანსურადაც და ყველანაირად. უფროსი კაცია, სამტრედიაში მის სიტყვას ფასი აქვს და ყველა საქმის მოგვარებაც შეუძლია. მოკლედ, დიდი სამსახური გამიწია.

— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ, ამ თვენახევარში ფეხბურთისთვის რომ არ მოგიცლია...

— ეგ ნაწილობრივ ტრავმითაც იყო გამოწვეული, რა თქმა უნდა, იმითაც, ცოლი რომ მოვიყვანე. მართლაც, თვენახევარია ბურთისთვის ფეხი არ დამიკარებია, არადა, უფეხბურთოდ ვერ ვძლებდი, მომწყურდა თამაში და ერთი სული მაქვს, როდის გამოვალ მოედანზე.

— ახლა როგორ ფორმაში ხარ?

— ისე რაო, რომ იტყვიან. თუმცა, ახლაც შემიძლია, ვითამაშო, სასურველ მდგომარეობამდე მისაღწევად კი ერთი თვის ვარჯიში დამჭირდება.

— შენზე ამბობენ, თავნებაა და ხურცილავას მკაცრი ხელი მოაკლდებაო...

— რა მნიშვნელობა აქვს, ვისთან ვიმუშავებ: ხურცილავასთან, ჭეიშვილთან თუ ელაშვილთან?! მთავარია, კარგი მწვრთნელი იყოს, გამიგოს და გვერდში დამიდგეს. ვინც ვერ გამიგებს, მეც ვერ დავუდგები გვერდში. კახა ელაშვილიც კარგი მწვრთნელია, დიდ პატივს ვცემ და რატომ არ დავუჯერებ?! ადამიანში პირველ რიგში გაგებას ვაფასებ.

— „სამტრედია" წელსაც ჩინებულად ასპარეზობს...

— ყველა მოთამაშე კარგ ფორმაშია და, აკი ვთქვი, მწვრთნელიც კარგი გვყავს. ერთი მიზეზიც არის. შარშან ძირითადის ყველა ადგილი დაკავებული იყო და ზოგიერთ ფეხბურთელს, სკამზე რომ არ იყო დასასმელი, წელს თავის გამოჩენის საშუალება მიეცა. ესენიც, რაც შეუძლიათ, თამაშობენ.

— შარშან თქვენთან ყველა ადგილზე მართლაც დიდი კონკურენცია იყო...

— წელსაც არანაკლებია, შეიძლება უფრო მეტიც. მაგრამ, მთავარია, ფეხბურთელმა თავი გამოიჩინოს და ათამაშებენ.

— მოსკოვის „ლოკომოტივში" როდის გადადიხარ?

— ერთ კვირაში მოსკოვში გავფრინდები. კონტრაქტს უკვე მოვაწერე ხელი.

— რამდენწლიანია კონტრაქტი?

— სამი, ამ პერიოდში ლოკომოტივის საკუთრება ვხდები. სიომინს, თურმე, ჩვენი „ტორპედოსთან" თამაში უნახავს ამ ზაფხულს მოსკოვში, სადაც ორი გოლი გავიტანე, მანამდე კი „ლოკომოტივიც" დავამარცხეთ. მოვწონებივარ, მერე მაკედონიაშიც გუნდის უფროსი გამოგვყვა, ნახა ჩემი თამაში და შემომთავაზა გადასვლა.

— რუსეთში ახალ გარემოსთან მოგიწევს შეგუება...

— რა თქმა უნდა. საქართველოში ცხოვრებას კი არაფერი მირჩევნია, მაგრამ კარიერაზე ვფიქრობ და სადაც უკეთესი პირობებია, იქ მივდივარ. რუსეთის ჩემპიონატი ჩვენსაზე გაცილებით დაძაბულია, მოთამაშეებიც ფიზიკურად უკეთ არიან მომზადებულნი და ვარჯიშებსაც მეტი სერიოზულობით ეკიდებიან. ამას რომ ვამბობ, უპირველესად ჩემს თავს ვგულისხმობ — აქ ხანდახან ვარჯიშებსაც ვაცდენდი. მართალია, სხვადასხვა მიზეზების გამო, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს?! რუსეთში კი ამისთვის ჯარიმასა და უსიამოვნებას ვერ ასცდები.პირობებიც მშვენიერია, ჩვენსავით ცხელ წყალზე კი არ ოცნებობენ.

ცოტა ხნის წინ მოსკოვში ვიყავი და, გუნდის ხელმძღვანელობით დაწყებული და მოთამაშეებით დამთავრებული, ყველა გავიცანი. სამ-ოთხ ფეხბურთელს უკვე დავუახლოვდი კიდეც. როგორც შევატყვე, გუნდში ნორმალური ვითარებაა. თანაც „ლოკომოტივი" ხისტ და დისციპლინირებულ ფეხბურთს თამაშობს, რაც მე ძალიან მომწონს. მოკლედ, ვფიქრობ კარგი არჩევანი გავაკეთე.

— თავიდან, შესაძლოა, მაინც გაგიჭირდეს...

— არა მგონია. რომც გამიჭირდეს მე მაინც ჩემსას ვეცდები — მოსკოვში სკამზე დასაჯდომად არ მივდივარ.

— რა პირობები შემოგთავაზეს მოსკოვში?

— ჩემი დაოჯახება რომ შეიტყვეს, სამოთახიან ბინას შემპირდნენ, მანქანაც მაჩუქეს — „09".

— ხელფასიც კარგი გექნება...

— რა თქმა უნდა. დაახლოებით ხუთი ათასი დოლარი თვეში, პლიუს პრემიები.

— რაო, სიომინმა, უეჭველად ძირითადში გათამაშებო?

— ეს მაინც ჩემზეა დამოკიდებული. ახლა იტალიაში მივდივართ შეკრებაზე და იქ გამოჩნდება ბევრი რამ. თუ თავს გამოვიჩენ, დამაყენებს, თუ ვერ ვივარგე, რატომ მათამაშებს — ვის უნდა სუსტი მოთამაშე ძირითადში? მით უმეტეს, რომ „ლოკომოტივი" ამბიციური და დიდი მიზნების მქონე გუნდია.

— სხვა გუნდებიც გიწვევდნენ თურმე. რატომ ამჯობინე „ლოკომოტივი"?

— ტარიელ ჩაჩუამ მითხრა, არის ასეთი წინადადებაო და მეც დავთანხმდი. ეს ყველაფერი ტარიელ ჩაჩუასთან შევათანხმე, რადგან ორივესთვის მისაღები გარიგება იყო — მეც მაწყობდა და მასაც.

ახლა ჩემი მიზანი ფორმის აღდგენაა. „გარდართან" პირველ შეხვედრაში რომ ვგრძნობდი თავს, აი,ისეთ მდგომარეობას უნდა მივაღწიო.

— გეტყობა, მეორე, ბათუმის შეხვედრაში ძალიან არ მოგეწონა შენი თამაში...

— არა, მოწონება-კმაყოფილებაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

— რატომ? ვერ მოემზადე?

— ... რა ვიცი ...ვერც მოვემზადე, განწყობაც არ მქონდა...

— რატომ, თამაშზე არ ფიქრობდი?

— როგორ არა, მაგრამ მაკედონიაში თამაშისას გუნდში სხვა ვითარება იყო, ბათუმში კი სხვა. რატომ, რა მიზეზით, ამაზე ლაპარაკიც კი სირცხვილია და არც მსურს.

— რომ არა უცხოელებთან გამოჩენილი სიფიცხე და თავშეუკავებლობა, ახალგაზრდულ ნაკრებს ალბათ დაეხმარებოდი დარჩენილ შეხვედრებში...

— პირდაპირ ვიტყვი, ყველაფერი ჩემი უგუნურობის ბრალია. მაგრამ მალე ფორმაში ჩავდგები და, იმედია, ახალგაზრდულ ნაკრებსაც გამოვადგები და ეროვნულსაც.

— ამის თაობაზე ჩივაძისგან რაიმე ხომ არ გსმენია?

— არა, ჩემთვის არაფერი უთქვამს, უბრალოდ ვიცი, რომ ჩემს პირველ ნაკრებში მიწვევაზე უკვე ბევრს ლაპარაკობენ. ვნახოთ, ღმერთმა ქნას. მეც მეტი რა მინდა? ოღონდ საქართველოს გამოვადგე...

...ამ დროს მეორე ტაიმიც დაიწყო და ორივემ ჩვენს ადგილებს მივაშურეთ — მე ტრიბუნაზე, ზაზამ — სათადარიგოთა სკამზე. თუმცა ეს რა მისი ადგილია...

რისი კითხვაც ვერ მოვასწარი, იქიდან ერთის პასუხი მაინტერესებდა განსაკუთრებით: ზაზას 12 წლის ძმა ეზრდება, ამბობენ, დილიდან დაღამებამდე ბურთს დასდევს და ყველას აოცებს ნიჭით. რა ზაზა, რის ზაზაო. იმედია, მალე ამ კითხვას თავად ჯანაშიების უმცროსი წარმომადგენელი გასცემს პასუხს მოედანზე...

მერაბ მამულაშვილი

# უპასუხო კითხვა:
## რატომ მოკლეს „შახტიორის" პრეზიდენტი?

ყველამ იცის, რაც მოხდა დონეცკის სტადიონზე ამ ცოტა ხნის წინ. ამბის უფრო დაწვრილებით გასაგებად დავუკავშირდით „შახტიორში" მოთამაშე საქართველოს ნაკრების წევრს გიორგი ჩიხრაძეს.

— გიორგი, რას ამბობენ, რა ვერსიებს ასახელებენ ტერაქტის მიზეზად?

— ჯერ-ჯერობით ყველა ერიდება საკუთარი მოსაზრების გამოთქმას. დანამდვილებით ვერც მე გეტყვით რამეს. მართალია, გარკვეული ეჭვები გაჩნდა, „შახტიორის" პრეზიდენტი ალექსანდრ ბრაგინი კონკურენტებმა მოიშორესო, თუმცა, ეს ხოლოდ ეჭვია. მე ის მიკვირს, რომ პრესაშიც ბევრი არაფერი იწერება ამის თაობაზე. პროკურატურამ უკვე დაიწყო საქმის გამოძიება.

— აფეთქებას მოთამაშეებიც ხომ არ დაუშავებია?

— მართალია, პატარა ნამსხვრევებმა მინდვრამდეც მოაღწია, მაგრამ მოედანზე მყოფთ არაფერი მოგვსვლია. აფეთქება მთავრობის ლოჟის ქვეშ მოხდა, როდესაც ბრაგინი ხუთი მცველითურთ ლოჟისკენ მიემართებოდა. სულ ექვსი კაცი გარდაიცვალა, ორიც მძიმე მდგომარეობაშია.

— ბრაგინის სიკვდილი „შახტიორის" ფინანსურ მდგომარეობას ხომ არ გააუარესებს?

— ეს გამორიცხულია, რადგან გუნდი სააქციონერო საზოგადოებას ეკუთვნის, პრეზიდენტი კი საქმეებს განაგებდა. რასაკვირველია, მისი გარდაცვალება დიდი უსიამოვნებაა, მაგრამ დარჩნენ მისი საქმის გამგრძელებლები, რომლებიც პირიქით, პირობების გაუმჯობესებას შეგვპირდნენ. მათ დიდი სურვილი აქვთ, ბრაგინის დაწყებული საქმე ღირსეულად გააგრძელონ, ასე რომ, „შახტიორს" არაფერი ემუქრება.

— ახალი პრეზიდენტი თუ აირჩიეს?

— ჯერ-ჯერობით არა, რადგან ბრაგინი სულ სამი დღეა,რაც დაკრძალეს (ჩვენი საუბარი 20 ოქტომბერს შედგა). არჩევნები, ალბათ, უახლოეს ხანს გაიმართება.

— როგორ მისდის „შახტიორს" საქმეები ჩემპიონატში?

— გუშინ, 19 ოქტომბერს კიროვოგრადში „ზვეზდა-ნიბასს" შევხვდით. გუნდის ხელმძღვანელებმა გვთხოვეს, გვეთამაშა, რაც შეგვეძლო. ჩვენც შევძელით მობილიზება და როგორც იქნა პირველი მატჩი მოვიგეთ სტუმრად ანგარიშით 1:0. გოლი პივაკმა გაიტანა. თამაში დაძაბული იყო და მით უფრო სასიამოვნოა გამარჯვება. თანაც მსაჯი აშკარად ემხრობოდა მასპინძლებს, ჩვენს კარში, ღმერთმა უწყის რისთვის, პენალტიც დანიშნა. მეკარე შუტკოვმა გვიხსნა — პენალტი მოიგერია. ეს მოგება ბრაგინის ხსოვნას მივუძღვენით.

მერაბ მამულაშვილი

# საფეხბურთო ტოტალიზატორი
# ლაპლას-ტოტო

**მატჩების სია — ტირაჟი № 05**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | 29.10 | ინტერი — მილანი | იტ. ჩემპ. |
| 2 | 29.10 | ლაციო — იუვენტუსი | იტ. ჩემპ. |
| 3 | 29.10 | ნაპოლი — კრემონეზე | იტ. ჩემპ. |
| 4 | 29.10 | ატლეტიკო — მერიდა | ესპ. ჩემპ. |
| 5 | 29.10 | კომპოსტელა — ბარსელონა | ესპ. ჩემპ. |
| 6 | 29.10 | ესპანიოლი — სელტა | ესპ. ჩემპ. |
| 7 | 29.10 | ალბასეტე — რეალი | ესპ. ჩემპ. |

**№03 ტირაჟის შედეგები:**

1. 1-1 2. 2-0 3. 2-1. 4. 4-1 5. 1-0 6. 2-2 7. 0-1

მოგებები: ხუთი მატჩი — 21 ლარი (10 ვარიანტი), ექვსი მატჩი — 136 ლარი (3 ვარიანტი). შვიდი მატჩი — ვერავინ გამოიცნო. JACK POT — 759 ლარი გადადის შემდეგ ტირაჟში.

ბილეთები იყიდება მეტროს სადგურებთან (ში). რეგისტრაციის ბოლო ვადაა 28 ოქტომბერი (ჩათვლით). ბილეთის (2 ვარიანტი) ფასი 30 თეთრი.

**თამაშის წესები**

1. ტოტალიზატორის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მოთამაშემ სწორად გამოიცნოს შემოთავაზებული ფეხბურთის მატჩების ანგარიშები (ძირითადი დრო).

2. მატჩების სია განისაზღვრება შვიდი მატჩით და ცხადდება ტირაჟის ანონსში.

3. როგორც წესი, ჩატარდება კვირაში ერთი ტირაჟი.

კონკრეტულ ტირაჟში მონაწილე ბილეთების რეგისტრაცია წყდება წინასწარ გამოცხადებულ ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს ტირაჟში მონაწილე პირველი მატჩის ჩატარებისწინა დღისა.

5. როგორც წესი, მოგებისათვის აუცილებელია ხუთი, ექვსი ან შვიდი მატჩის ანგარიშის გამოცნობა. ინფორმაცია იმის შესახებ, თუ კონკრეტულ ტირაჟში რადენი მატჩის ანგარიშის გამოცნობა უზრუნველყოფს მოგებას, ცხადდება ტირაჟის ანონსში.

მოგების ოდენობა განისაზღვრება შესაბამისი კატეგორიის საპრიზო ფონდის ფარდობით ამ კატეგორიის მოგებული ბილეთების რაოდენობასთან.

7. იმ შემთხვევაში, თუ შვიდი (ან ნაკლები) ანგარიში ვერავინ გამოიცნო, ამ კატეგორიის (კატეგორიების) საპრიზო ფონდი გადადის და ემატება შემდეგი ტირაჟის საპრიზო ფონდს (JACK-POT).

8. მატჩების ნუმერაცია ბილეთში შეესაბამება მატჩების ნუმერაციას ტირაჟის ანონსში.

9. ბილეთები შედგება ორი ნაწილისაგან, რომლებიც უნდა შეივსოს ერთნაირად. რეგისტრატორის მიერ დამოწმებული ნაწილი **A** მიეცემა მოთამაშეს, ხოლო ნაწილი **B** რჩება რეგისტრატორთან, ბილეთების შევსებისას ყოველგვარი გადაკეთება და შესწორება დაუშვებელია. ამასთან, ბილეთებში შევსებული ანგარიშები უნდა ეწეროს მკაფიოდ, გამოკვეთილად და გასაგებად. იმ შემთხვევაში, თუ რომლიმე ციფრის წაკითხვა გამოიწვევს კამათს, შესაბამისი მატჩის ანგარიში ჩაითვლება არგამოცნობილად. პასუხისმგებლობა ბილეთის სწორად შევსებაზე ეკისრება მოთამაშეს. არასწორად შევსებული ბილეთები (ვარიანტები) გათამაშებიდან მოიხსნება ღირებულების აუნაზღაურებლად.

10. იმ შემთხვევაში, თუ მატჩი არ ჩატარდა (გადაიდო ან სხვა მიზეზით), ან ჩაიშალა (არ დამთავრდა) ან შეიცვალა მასპინძელი გუნდი — მოთამაშეებს შესაბამისი მატჩის შედეგი ჩაეთვლებათ გამოცნობილად, მიუხედავად მითითებული ანგარიშისა. თუ ასეთი მატჩების რაოდენობა ერთ ტირაჟში გადააჭარბებს სამს, მაშინ თითოეული (ყველა) ზემოჩამოთვლილი კატეგორიის მატჩის ანგარიშად ჩაითვლება 0-0. იმ შემთხვევაში, თუ მატჩის შედეგი დაფიქსირდა — გაპროტესტება მხედველობაში არ მიიღება.

11.კონკრეტული ტირაჟის კონკრეტულ მატჩზე (მატჩებზე) შეიძლება გამოცხადდეს „გაყიდვა". შესაბამისად, მოთამაშეს ეძლევა საშუალება ანგარიშის მითითების ნაცვლად „იყიდოს" მატჩი, რის შედეგადაც ამ მატჩის ანგარიში ჩაითვლება გამოცნობილად. ერთ ტირაჟში „გაყიდული" მატჩების რაოდენობა ვერ აღემატება სამს. ფასები გამოცხადდება ანონსში. მოთამაშე მატჩის „ყიდვის" საფასურს გადაიხდის ბილეთის ჩაბარებისას, ხოლო ბილეთის შესაბამის უჯრებში ციფრების ნაცვლად ხაზავს ჯვრებს X:X.

12. მოგებები გაიცემა ტირაჟის ბოლო მატჩიდან ერთი თვის განმავლობაში მისამართზე: ხეთაგუროვის 3, მე-3 სართული, ფირმა „ესკიზი".

ტელ: 95-21-40.

13. მოგებები გაიცემა წარდგენილი **A** ნაწილის საფუძველზე, რომელზეც აუცილებლად უნდა იყოს რეგისტრატორის ხელმოწერა და რეგისტრაციის თარიღი.

# აბურთავებული პრეზიდენტი


მიხეილ ყაველაშვილი


მურთაზ შელია

შაბათს შელია და ყაველაშვილი რუსეთის ჩემპიონები გახდნენ. ეს პირველი შემთხვევაა, როცა ქართველმა ლეგიონერებმა უცხო ქვეყნის უმაღლესი ტიტული მოიპოვეს. მოსკოვში ცესკასთან, ჯერ პირველი ტაიმის მიწურულს დერკაჩმა მეკარესთან პირისპირ გასვლა არ გააცუდა, მერე, მეორის დასაწყისში კანიშჩევის ძლიერი დარტყმა ძელს მოხვდა, თედეევმა კი დაამატა და — 2:0. არმიელებმა მხოლოდ მატჩის მიწურულსღა მოახერხეს გოლის გატანა — რადიმოვმა ხაპოვს ცხრიანი გაუტანა. მსაჯის საფინალო სასტვენისთანავე ვლადიკავკაზელებმა ჯერ გაზაევი აბურთავეს, მერე ოსეთის პრეზიდენტი გალაზოვი. მოკლედ, მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. შელიასა და ყაველაშვილის გარდა თავისი წვლილი გრიშიკაშვილმა და რევიშვილმაც შეიტანეს — პირველმა ხუთჯერ შეინახა კარი მშრალად, მეორე კი, სანამ ავად გახდებოდა, ორი მატჩი ითამაშა, მაგრამ ორივეში საუკეთესო იყო. იმ დღეს მოსკოვის „ლოკომოტივის" სამარაში „კრილია სოვეტოვთან" 4:0 გამარჯვებამ რკინიგზელებს მხოლოდ ვერცხლის მედლები არგუნა. მიშა ჯიშკარიანის „კამაზმა" კი მანამდე სტუმრად დაუმარცხებელ „ტორპედოს" მოუგო და „ინტერტოტოსთვის" იბრძვის. დევაძისა და გუჯაბიძის „როსტსელმაშმა" კამიშინში 0:2 წააგო „ტექსტილშჩიკთან".

## საფრანგეთი

XIV ტური. ნანტი — ლიონი 0:0, ბორდო — რენი 0:0, ლილი — მეცი 0:0, ბასტია — სტრასბური 1:1, სენტ ეტიენი — ლანსი 1:1, ნიცა — მარტიგი 1:0, გენგამი — ლე ავრი 2:2, გენიონი — კანი 0:0, მონაკო — მონპელიე 3:1, პსჟ — ოსერი 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მეცი | 14 | 9 | 5 | 0 | 16-6 | 32 |
| ლანსი | 14 | 8 | 5 | 1 | 20-10 | 29 |
| პსჟ | 14 | 8 | 4 | 2 | 25-12 | 28 |
| ოსერი | 14 | 8 | 1 | 5 | 26-17 | 25 |
| მონაკო | 14 | 7 | 3 | 4 | 22-18 | 24 |
| გენგამი | 14 | 5 | 7 | 2 | 12-18 | 22 |
| ნანტი | 14 | 5 | 6 | 3 | 16-12 | 21 |
| მონპელიე | 14 | 6 | 3 | 5 | 18-8 | 21 |
| ბასტია | 14 | 6 | 2 | 7 | 21-21 | 20 |
| ნიცა | 14 | 5 | 4 | 5 | 14-14 | 19 |
| სტრასბური | 14 | 4 | 6 | 4 | 18-14 | 18 |
| ბორდო | 14 | 5 | 3 | 6 | 16-17 | 18 |
| რენი | 14 | 5 | 3 | 6 | 16-19 | 18 |
| ლე ავრი | 14 | 4 | 4 | 6 | 10-21 | 16 |
| ლიონი | 14 | 3 | 6 | 5 | 13-16 | 15 |
| სენტ ეტიენი | 14 | 3 | 5 | 6 | 19-22 | 14 |
| გენიონი | 14 | 2 | 6 | 6 | 9-18 | 12 |
| ლილი | 14 | 2 | 4 | 8 | 10-19 | 10 |
| კანი | 14 | 3 | 1 | 10 | 15-26 | 10 |
| მარტიგი | 14 | 3 | 1 | 10 | 8-19 | 10 |

## ინგლისი

X ტური. არსენალი — ასტონ ვილა 2:0, ჩელსი — მანჩესტერ იუნაიტედი 1:4, ქოვენთრი — შეფილდი 0:1, მანჩესტერ სიტი — ლიდს იუნაიტედი 0:0 (ქინქლაძემ „ნიუზ ოფ ვორლდისგან" 9 ქულა დაიმსახურა), მიდლსბრო — ქვინზ პარკი 1:0, ნიუკასლი — უიმბლდონი 6:1, ნოტინგემ ფორესტი — ბოლტონი 3:2, ვესტ პემი — ბლექბერნი 1:1, ევერტონი — ტოტენპემი 1:1, საუთპემპტონი — ლივერპული 1:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუკასლი | 10 | 9 | 0 | 1 | 26-7 | 27 |
| მანჩესტერ იუნ. | 10 | 7 | 2 | 1 | 21-11 | 23 |
| არსენალი | 10 | 6 | 3 | 1 | 15-5 | 21 |
| მიდლსბრო | 10 | 6 | 3 | 1 | 11-4 | 21 |
| ლივერპული | 10 | 6 | 2 | 2 | 18-8 | 20 |
| ნოტინგემი | 10 | 5 | 5 | 0 | 18-11 | 20 |
| ასტონ ვილა | 10 | 5 | 2 | 3 | 12-7 | 17 |
| ლიდსი | 10 | 5 | 1 | 4 | 14-12 | 16 |
| ტოტენპემი | 10 | 4 | 3 | 3 | 15-13 | 15 |
| ჩელსი | 10 | 4 | 3 | 3 | 11-11 | 15 |
| ბლექბერნი | 10 | 3 | 2 | 5 | 13-15 | 11 |
| შეფილდი | 10 | 3 | 2 | 5 | 9-12 | 11 |
| ვესტ პემი | 10 | 2 | 4 | 4 | 9-12 | 10 |
| ევერტონი | 10 | 2 | 3 | 5 | 11-15 | 9 |
| ქვინზ პარკი | 10 | 3 | 0 | 7 | 9-16 | 9 |
| უიმბლდონი | 10 | 3 | 0 | 7 | 14-23 | 9 |
| ქოვენთრი | 10 | 1 | 4 | 5 | 7-18 | 7 |
| საუთპემპტონი | 10 | 1 | 3 | 6 | 9-19 | 6 |
| ბოლტონი | 10 | 1 | 2 | 7 | 11-22 | 5 |
| მანჩესტერ სიტი | 10 | 0 | 2 | 8 | 3-15 | 2 |

## შოტლანდია

IX ტური. აბერდინი — პარტიკ თისლი 3:0, პიბერნიანი — მოზერველი 4:2, კილმარნოკი — სელტიკი 0:0, რეით როვერსი — ფალკირკი 0:1, რეინჯერსი — პართსი 4:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 9 | 8 | 0 | 1 | 20-3 | 24 |
| სელტიკი | 9 | 5 | 3 | 1 | 14-8 | 18 |
| პიბერნიანი | 9 | 4 | 4 | 1 | 16-12 | 16 |
| აბერდინი | 9 | 4 | 1 | 4 | 14-11 | 13 |
| რეით როვერსი | 9 | 4 | 0 | 5 | 12-14 | 12 |
| მოზერველი | 9 | 2 | 4 | 3 | 11-12 | 10 |
| ფალკირკი | 9 | 2 | 2 | 5 | 8-12 | 8 |
| კილმარნოკი | 9 | 2 | 2 | 5 | 7-13 | 8 |
| პართსი | 9 | 2 | 2 | 5 | 14-21 | 8 |
| პარტიკ თისლი | 9 | 1 | 4 | 4 | 8-16 | 7 |

## ჰოლანდია

X ტური. ბრედა — უტრეხტი 3:0, სპარტა — ტვენტე 4:2, გრაფდსხაპი — როდა 0:2, ვილემ II — ვალვაიკი 1:2, ფორტუნა — პერენვეენი 1:2, გოუ ეპედი — ვიტესი 1:3, ნაიმეგენი — ვოლენდამი 2:1, პსვ ეინდჰოვენი — გრონინგენი 7:1, ფეიენოორდი — აიაქსი 2:4

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 10 | 10 | 0 | 0 | 37-2 | 30 |
| პსვ | 10 | 8 | 1 | 1 | 32-7 | 25 |
| ვილემ II | 10 | 5 | 4 | 1 | 24-9 | 19 |
| პერენვეენი | 10 | 5 | 3 | 2 | 18-17 | 18 |
| ვალვაიკი | 10 | 5 | 1 | 4 | 13-15 | 16 |
| ფეიენოორდი | 10 | 4 | 3 | 3 | 25-19 | 15 |
| როდა | 10 | 3 | 5 | 2 | 8-7 | 14 |
| გრონინგენი | 10 | 4 | 2 | 4 | 15-19 | 14 |
| სპარტა | 10 | 4 | 2 | 4 | 14-20 | 14 |
| ბრედა | 10 | 3 | 4 | 3 | 13-10 | 13 |
| ვიტესი | 10 | 3 | 3 | 4 | 14-17 | 12 |
| ნაიმეგენი | 10 | 3 | 2 | 5 | 13-23 | 11 |
| ფორტუნა | 10 | 3 | 2 | 5 | 10-20 | 11 |
| ტვენტე | 10 | 2 | 3 | 5 | 14-21 | 9 |
| უტრეხტი | 10 | 2 | 2 | 6 | 8-18 | 8 |
| გოუ ეპედი | 10 | 1 | 3 | 6 | 13-23 | 6 |
| გრააფდსხაპი | 10 | 1 | 3 | 6 | 12-22 | 6 |
| ვოლენდამი | 10 | 1 | 3 | 6 | 8-22 | 6 |

## ავსტრია

XIII ტური. ფორვარტსი — ტიროლი 2:2, შტურმი — რიედი 1:0, ლინცერი — აუსტრია 0:1, კაზინო — ადმირა ვაკერი 2:2, რაპიდი — გრაცერი 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რაპიდი | 13 | 9 | 2 | 2 | 26-13 | 29 |
| შტურმი | 13 | 7 | 2 | 4 | 24-14 | 23 |
| გრაცერი | 13 | 5 | 4 | 4 | 22-18 | 19 |
| აუსტრია | 13 | 6 | 3 | 4 | 18-11 | 21 |
| ლინცერი | 13 | 5 | 4 | 4 | 12-11 | 19 |
| რიედი | 13 | 5 | 3 | 5 | 19-21 | 18 |
| კაზინო | 13 | 4 | 5 | 4 | 17-19 | 17 |
| ტიროლი | 13 | 4 | 4 | 5 | 19-17 | 16 |
| ადმირა ვაკერი | 13 | 2 | 6 | 5 | 12-18 | 12 |
| ფორვარტსი | 13 | 0 | 3 | 10 | 7-30 | 3 |

## შვეიცარია

XX ტური. სენტ გალენი — სიონი 3:0, იანგ ბოიზი — არაუ 0:4, ქსამაქსი — ლუგანო 4:0, ლუცერნი — ბაზელი 3:1, სერვეტი — ლოზანა 1:1, გრასპოპერი — ციურიხი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრასპოპერი | 14 | 10 | 2 | 2 | 28-12 | 32 |
| ქსამაქსი | 15 | 10 | 1 | 4 | 29-19 | 31 |
| ლუცერნი | 15 | 8 | 4 | 3 | 25-8 | 28 |
| სიონი | 15 | 9 | 1 | 5 | 25-11 | 28 |
| სენტ გალენი | 15 | 5 | 6 | 4 | 20-16 | 21 |
| არაუ | 15 | 5 | 4 | 6 | 24-20 | 19 |
| ლოზანა | 15 | 4 | 6 | 5 | 17-16 | 18 |
| ბაზელი | 15 | 5 | 1 | 9 | 15-21 | 16 |
| ლუგანო | 14 | 4 | 4 | 6 | 15-25 | 16 |
| სერვეტი | 15 | 3 | 5 | 7 | 19-10 | 14 |
| იანგ ბოიზი | 15 | 2 | 5 | 8 | 8-24 | 11 |
| ციურიხი | 15 | 1 | 5 | 9 | 8-26 | 8 |

## გერმანია

X ტური. ლევერკუზენი — შალკე 0:0

ურდინგენი — პანზა 1:1
მაიერი (52); ბაუმგარტი (24)

ფრაიბურგი — ჰამბურგი 0:3
ალბერტცი (8, 44), შპიორლი (85)

მიუნხენი — კარლსრუე 1:1
ბორიმიროვი (77), დაანდი (57)

შტუტგარტი — აინტრახტი 3:2
ბალაკოვი (42), ელბერი (66), ბობიჩი (81); პაგნერი (22), მორნარი (88)

ზანკტ პაული — ბაიერნი 0:1
კლინსმანი (10)

დორტმუნდი — კიოლნი (3:0)
კოლერი (61), ცორკი (71), პერლიხი (84)

კაიზერი — დიუსელდორფი 2:0
ვაგნერი (39), ვოლიტცი (74)

მიონხენგლადბახი — ვერდერი 1:0
ეფენბერგი (78)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 10 | 8 | 0 | 2 | 22-11 | 24 |
| დორტმუნდი | 10 | 6 | 3 | 1 | 27-17 | 21 |
| გლადბახი | 10 | 6 | 1 | 3 | 17-16 | 19 |
| პანზა | 10 | 4 | 4 | 2 | 20-18 | 16 |
| შტუტგარტი | 10 | 4 | 4 | 2 | 19-19 | 16 |
| ლევერკუზენი | 10 | 3 | 6 | 1 | 14-9 | 15 |
| შალკე 04 | 10 | 3 | 6 | 1 | 9-10 | 15 |
| ვერდერი | 10 | 3 | 5 | 2 | 13-13 | 14 |
| კარლსრუე | 10 | 3 | 3 | 4 | 12-15 | 12 |
| კაიზერსლაუტ. | 10 | 2 | 5 | 3 | 13-15 | 11 |
| ზანკტ პაული | 10 | 3 | 2 | 5 | 14-18 | 11 |
| ჰამბურგი | 10 | 1 | 7 | 2 | 17-15 | 10 |
| მიუნხენი | 10 | 2 | 4 | 4 | 13-19 | 10 |
| აინტრახტი | 10 | 2 | 3 | 5 | 18-17 | 9 |
| ურდინგენი | 10 | 1 | 6 | 3 | 7-9 | 9 |
| დიუსელდორფი | 10 | 1 | 6 | 3 | 10-14 | 9 |
| კიოლნი | 10 | 1 | 5 | 4 | 9-14 | 8 |
| ფრაიბურგი | 10 | 1 | 2 | 7 | 5-15 | 5 |

## ესპანეთი

IX ტური. ბარსელონა — ვალენსია 1:0, ბეტისი — კომპოსტელა 5:0, ოვიედო — სალამანკა 2:2, რეალი — ტენერიფე 2:0, რაიო ვალეკანო — ალბასეტე 2:0, სარაგოსა — რეალ სოსიედადი 1:2, მერიდა — სანტანდერი 3:1, ვალიადოლიდი — ატლეტიკო 0:1, დეპორტივო ლა კორუნია — ხიხონი 1:0, სელტა — სევილია 4:0, ატლეტიკი — ესპანიოლი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატლეტიკო | 9 | 8 | 1 | 0 | 19-2 | 25 |
| ბარსელონა | 9 | 7 | 2 | 0 | 23-6 | 23 |
| ესპანიოლი | 9 | 6 | 2 | 1 | 16-4 | 19 |
| ბეტისი | 9 | 4 | 4 | 1 | 14-9 | 17 |
| კომპოსტელა | 9 | 5 | 1 | 3 | 12-9 | 16 |
| რეალი | 9 | 4 | 2 | 3 | 18-12 | 14 |
| ხიხონი | 9 | 4 | 2 | 3 | 12-10 | 14 |
| ვალენსია | 9 | 4 | 2 | 3 | 11-11 | 14 |
| ლა კორუნია | 9 | 4 | 1 | 4 | 15-11 | 13 |
| ატლეტიკი | 9 | 3 | 4 | 2 | 10-9 | 13 |
| სარაგოსა | 9 | 4 | 1 | 4 | 6-10 | 13 |
| სოსიედადი | 9 | 3 | 1 | 5 | 12-13 | 10 |
| მერიდა | 9 | 2 | 4 | 3 | 8-9 | 10 |
| ალბასეტე | 9 | 3 | 1 | 5 | 12-17 | 10 |
| ვალიადოლიდი | 9 | 2 | 3 | 4 | 8-8 | 9 |
| ტენერიფე | 9 | 2 | 3 | 4 | 9-14 | 9 |
| სელტა | 9 | 2 | 2 | 5 | 9-14 | 8 |
| ოვიედო | 9 | 2 | 2 | 5 | 9-15 | 8 |
| სანტანდერი | 9 | 2 | 2 | 5 | 9-20 | 8 |
| რაიო ვალეკანო | 9 | 2 | 1 | 6 | 10-20 | 7 |
| სალამანკა | 9 | 1 | 3 | 5 | 7-12 | 6 |
| სევილია | 9 | 1 | 3 | 5 | 7-17 | 6 |

## თურქეთი

IX ტური. ისტანბულსფორი — ალთაი 1:1, სამსუნსფორი — გენჩლერბირლიგი 3:0, ტრაბზონსფორი — კაიზერისფორი 3:1, გაზიანთეპსფორი — ბურსასფორი 3:0, კარშიაკა — დენიზლისფორი 4:0, ფენერბაჩე — გალათასარაი 3:1, ანკარაგიუჯიუ — ქოჩაელისფორი 2:0, ესკიშეპირსფორი — ბეშიქთაში 2:3, ვანსფორი — ანთალიასფორი წუხელ გვიან დამთავრდა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტრაბზონსფორი | 9 | 7 | 2 | 0 | 24-7 | 23 |
| ფენერბაჩე | 9 | 6 | 3 | 0 | 17-5 | 21 |
| გალათასარაი | 9 | 6 | 1 | 2 | 15-12 | 19 |
| ბეშიქთაში | 9 | 5 | 2 | 2 | 23-14 | 17 |
| ბურსასფორი | 9 | 4 | 2 | 3 | 21-15 | 14 |
| ანტალიასფორი | 8 | 4 | 2 | 2 | 15-15 | 14 |
| გაზიანთეპსფორ. | 9 | 3 | 4 | 2 | 10-4 | 13 |
| სამსუნსფორი | 9 | 4 | 1 | 4 | 16-12 | 13 |
| ქოჩაელისფორი | 9 | 3 | 3 | 3 | 10-12 | 12 |
| დენიზლისფორი | 9 | 3 | 3 | 3 | 9-13 | 12 |
| კარშიაკა | 9 | 3 | 3 | 3 | 13-18 | 12 |
| ანკარაგიუჯიუ | 9 | 3 | 2 | 4 | 8-16 | 11 |
| გენჩლერბირლ. | 9 | 2 | 4 | 3 | 11-14 | 10 |
| ვანსფორი | 8 | 2 | 1 | 5 | 5-7 | 7 |
| კაიზერისფორი | 9 | 1 | 4 | 4 | 10-16 | 7 |
| ალთაი | 9 | 2 | 1 | 6 | 10-20 | 7 |
| ისტანბულსფორ. | 9 | 1 | 1 | 7 | 11-23 | 2 |

## ბელგია

XIII ტური. სტ.-ტრიუდენი — მოლენბეკი 0:1, სერანჟი — ლიერსი 1:3, მეხელენი — სტანდარდი 2:0, ანდერლეხტი — გენტი 3:0, ბევერენი — ლომელი 0:1, ბრიუგე — სერკლე 2:2, პარელბეკი — ანტვერპენი 3:1, ეკერენი — აალსტი 5:1, ვარეგემი — შარლერუა 4:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 13 | 8 | 3 | 2 | 29-11 | 27 |
| ლიერსი | 13 | 8 | 3 | 2 | 24-13 | 27 |
| ანდერლეხტი | 13 | 7 | 3 | 3 | 26-14 | 24 |
| მოლენბეკი | 13 | 6 | 6 | 1 | 14-10 | 24 |
| პარელბეკი | 13 | 7 | 2 | 4 | 21-14 | 23 |
| სტანდარდი | 13 | 5 | 6 | 2 | 19-11 | 21 |
| აალსტი | 13 | 5 | 4 | 4 | 20-18 | 20 |
| შარლერუა | 13 | 5 | 5 | 3 | 26-25 | 20 |
| მეხელენი | 13 | 5 | 4 | 4 | 18-22 | 19 |
| ბევერენი | 13 | 4 | 3 | 6 | 15-16 | 15 |
| სერკლე | 13 | 2 | 9 | 2 | 16-19 | 15 |
| ეკერენი | 12 | 3 | 5 | 4 | 20-16 | 14 |
| ანტვერპენი | 12 | 3 | 3 | 6 | 16-20 | 12 |
| სერანჟი | 13 | 3 | 3 | 7 | 15-23 | 12 |
| სტ. ტრიუდენი | 13 | 3 | 3 | 7 | 15-25 | 12 |
| გენტი | 13 | 2 | 4 | 7 | 14-24 | 10 |
| ლომელი | 13 | 2 | 3 | 8 | 13-23 | 9 |
| ვარეგემი | 13 | 2 | 3 | 8 | 12-27 | 9 |

## პორტუგალია

VIII ტური. გიმარაეში — ფელგეირაში 2:0, ამადორა — ტირენსე 0:0, ბელენენსეში — სალგეირაში 0:1, ჟილ ვისენტე — ლეირია 1:0, შავეში — ბენფიკა 1:2, პორტუ — კამპომაიორენსე 5:0, ბოავიშტა — ბრაგა 5:2, სპორტინგი — მარიტიმუ და ლეცა — ფარენსე წუხელ გვიან დამთავრდა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 8 | 7 | 1 | 0 | 17-2 | 22 |
| სპორტინგი | 7 | 6 | 1 | 0 | 16-4 | 19 |
| ბენფიკა | 8 | 5 | 2 | 1 | 9-4 | 17 |
| ბოავიშტა | 8 | 5 | 1 | 2 | 14-7 | 16 |
| გიმარაეში | 8 | 4 | 2 | 2 | 11-9 | 14 |
| სალგეირაში | 8 | 3 | 4 | 1 | 9-5 | 13 |
| ბელენენსეში | 8 | 4 | 1 | 3 | 11-9 | 13 |
| ბრაგა | 8 | 4 | 1 | 3 | 9-15 | 13 |
| მარიტიმუ | 7 | 3 | 1 | 3 | 14-8 | 10 |
| ფელგეირაში | 8 | 2 | 4 | 2 | 8-7 | 10 |
| ტირსენსე | 8 | 2 | 4 | 2 | 11-8 | 10 |
| ეშტრელაი ამად. | 8 | 2 | 3 | 3 | 6-6 | 9 |
| ფარენსე | 7 | 2 | 2 | 3 | 7-6 | 8 |
| ჟილ ვისენტე | 8 | 2 | 1 | 5 | 6-13 | 7 |
| შავეში | 8 | 1 | 3 | 4 | 11-13 | 6 |
| ლეცა | 7 | 1 | 2 | 4 | 5-11 | 5 |
| კამპომაიორესე | 8 | 1 | 1 | 6 | 6-23 | 4 |
| უნიაუ ლეირია | 8 | 1 | 0 | 7 | 5-23 | 3 |

## პოლონეთი

XIII ტური. ვიძევი — შლიონსკი 4:0, სტალი — სიარკა 0:2, ლეხი — ბელხატოვი 2:0, სოკოლი — ამიცა 0:0, პოგონი — რაკოვი 2:1, გურნიკი — ლკს 3:2, პუტნიკი — ოლიმპია 3:1, ზაგლებიე — სტომილი 0:0, ლეგია — გკს 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიძევი | 12 | 11 | 1 | 0 | 34-6 | 34 |
| ლეგია | 13 | 11 | 1 | 1 | 34-11 | 34 |
| სტომილი | 12 | 5 | 4 | 3 | 11-19 | 19 |
| რაკოვი | 13 | 6 | 1 | 6 | 13-14 | 19 |
| პოგონი | 13 | 6 | 1 | 6 | 15-17 | 19 |
| პუტნიკი | 13 | 6 | 1 | 6 | 22-25 | 19 |
| სტალი | 13 | 6 | 1 | 6 | 15-21 | 19 |
| ლეხი | 12 | 5 | 3 | 4 | 19-13 | 18 |
| ამიცა | 13 | 5 | 2 | 6 | 13-14 | 17 |
| გურნიკი | 13 | 4 | 4 | 5 | 17-11 | 16 |
| ზაგლებიე | 13 | 4 | 4 | 5 | 14-12 | 16 |
| გკს | 12 | 4 | 4 | 4 | 12-12 | 16 |
| ლკს | 13 | 4 | 3 | 6 | 16-15 | 15 |
| ოლიმპია | 11 | 4 | 2 | 5 | 14-16 | 14 |
| შლიონსკი | 13 | 3 | 5 | 5 | 10-15 | 13 |
| სოკოლი | 13 | 2 | 4 | 7 | 11-24 | 10 |
| სიარკა | 13 | 1 | 6 | 6 | 10-21 | 9 |
| ბელხატოვი | 13 | 2 | 1 | 10 | 12-24 | 7 |

## იტალია

### პიაჩენცა 0:1 ნაპოლი

15 000 მაყურებელი

პიაჩენცა: ტაიბი, პოლონია, მ. კონტე, დი ფრანჩესკო, როსინი, ლუჩი, ტურინი, ა. კაპონე (კაპელინი 65), კაჩა, კორინი (მორეტი 79), პიოვანი

ნაპოლი: ტალიალატელა, პარი, ბალდინი, ბორდინი, აიალა, კრუსი, ბუზო, ბოგოსიანი, აგოსტინი, პიცი, იმბრიანი (დი ნიპოლი 72)

გოლი: ტაიბი (69, საკ.კარში)

გაფრთხილება: კორინი, აიალა, ბალდინი, პიცი

გაძევება: მ. კონტე (73)

### იუვენტუსი 3:1 პადოვა

30 000 მაყურებელი

იუვენტუსი: პერუტი, ფერარა, ტორიჩელი (პორინი 62), სოუზა, კარერა, პესოტო (სორინი 82), დი ლივიო, ა. კონტე, რავანელი, დელ პიერო, ტაკინარდი (მაროკო 73)

პადოვა: ბონაიტი, როზა, გაბრიელი, კუიჩი (სკონციანო 46), ჯამპიეტრო, ლალასი, კრეეკი, ნუნციატა, ამორუზო, ლონგი, ჩოჩი (გალდერიზი 60)

გოლი: დელ პიერო (40), რავანელი (53), ამორუზო (77), კონტე (91)

გაფრთხილება: ფერარა, ნუნციატა, ლალასი

### რომა 1:1 პარმა

54 525 მაყურებელი

რომა: ჩერვონე, ალდაირი, ანონი (დი ბიაჯო 46), სტატუტო, პეტრუცი, ლანა, მორიერო, კაპიოლი, ბალბო, ჯანინი (ტოტი 46), ფონსეკა

პარმა: ბუჩი, მუსი, დი კიარა, სენსინი, აპოლონი, კანავარო, პინი (ბრამბილა 72), დ. ბაჯო, მელი, კრიპა, სტოიჩკოვი (ინძაგი 62)

გოლი: ფონსეკა (46), დ. ბაჯო (75)

გაფრთხილება: პეტრუცი, ტოტი, კანავარო, სტოიჩკოვი, ინძაგი

### ბარი 3:0 კალიარი

25 000 მაყურებელი

ბარი: ფონტანა, მანიგეტი, მანგონე, ქსავიერი (ანონი 46), სალა, რიჩი, გაუტიერი, ფიკინი, ანდერსონი (ბრიოსკი 84), პედონე, პროტი (გერერო 81)

კალიარი: ფიორი, პანკარო (ბრესანი 61), პუშედუ, ვილა, ნაპოლი, ფირიკანო, ბიზოლი, სანა, სილვა, ლანტიონიოტი (კენტუოინი 67), ოლივეირა (მუცი 67)

გოლი: ანდერსონი (55), პროტი (62), გერერო (82)

გაფრთხილება: სალა, ნაპოლი

### ინტერი 0:0 ლაციო

42 000 მაყურუბელი

ინტერი: პალიუკა, ბერგომი, კარლოსი, ფესტა, მ. პაგანინი, ფრეზი (მანიკონე 78), ძანეტი, ინსი, განცი (ორლანდინი 81), ბ. კარბონე, ბიანკი (კენტოფანტი 75)

ლაციო: მარკეჯანი, ნესტა, ფავალი, დი მატეო, ნეგრო, შამოტი, რამბაუდი, ფუზერი, კაზირაგი, ვინტერი (მარკოლინი 81), სინიორი (ბოკშიჩი 46)

გაფრთხილება: ბ. კარბონე, ინსი, ბერგომი, ნეგრო

### უდინეზე 1:0 ტორინო

12 728 მაყურებელი

უდინეზე: ბატისტინი, პელეგი, სერჯიო, ამეტრანო, კალორი (რიპა 50), ბია, როსიტო, დიზიტერი, ბერპოფი, სტროპა (კოზმინსკი 79), პოჯი (ბერტოტო 90)

ტორინო: ბიატო, მორო (დალ კანტო 22), მილანეზე, პფალკონე, მალტალიატი, კრაერო, ანგლომა, ბაჩი, დიონიგი, პელე, კრისტალინი

გოლი: ბერპოფი (73 პ)

გაფრთხილება: ბერპოფი, კალორი, დეზიდერი, ბერპოფი, პელე, კრისტალინი, მილანეზე

### ვიჩენცა 1:1 მილანი

16 000 მაყურებელი

ვიჩენცა: მონდინი, მენდესი, ვივიანი, დი კარლო, ბიორკლუნდი, ლოპესი, მ. როსი (პისტონე 67), ლომბარდინი (კასტანია 82), მურჯიტა, მაინი, ოტერო (გასპარინი 89)

მილანი: ს.როსი, პანუჩი, კოკო, ალბერტინი, მალდინი, კოსტაკურტა, ერანიო (ლენტინი 76), დესაი, ვეა, ბობანი, სიმონე (დი კანიო 68)

გოლი: ერანიო (44), მურჯიტა (48)

გაფრხილება: მენდესი, ერანიო, დესაი, მალდინი

### კრემონეზე 1:1 ატალანტა

8 000 მაყურებელი

კრემონეზე: ტურჩი, გარსია, ჯამდუჩა, [illegible] ორლანდო, [illegible] ვერდელი, პეტრაჯი, ლე აგოსტინი (ფერარონი 67), ფლორიანჩიჩი, პეროვიჩი (მაურო 74), ტენტონი (ფანტინი 74)

ატლანტა: ფერონი, ბოზელი (ლუპი 1; პავონე83), ერერა, ა. პაგანინი, ვალენტინი, ბონაჩინა, ფორტუნატო, გალო, ტოვალიერი (სალვატორი 77), მორფეო, პიზანი

გოლი: მორფეო (23), პეროვიჩი (44)

გაფრთხილება: პეროვიჩი, მორფეო, გალო, ლუპი, ბონაჩინა

### სამპდორია 2:1 ფიორენტინა

30 000 მაყურებელი

სამპდორია: პაგოტო, ბალერი, პაზარეზი, ფერი, მანინი, ფრანჩესკეტი, კარემბო (ზეედორფი 84), ევანი (მიხაილოვიჩი 63), მანიერო (მანჩინი 60), სალსანო, ინვერნიცი

ფიორენტინა: ტოლდო, კარნაშალი, სერენა, პიაჩენტინა, ამორუზო, მალუში, აშვარცი, რობიატი (ბიჯიკა 66), ბატისტუტა, რუი კოშტა (ბანკელი 77), ფლახი (მ. ორლანდო 63)

გოლი: მანიერო (20), რუი კოშტა (54 პ), სალსანო (71)

გაფრთხილება: ბალერი, ფერი, ფრანჩესკეტი, კარემბო, სალსანო, ინვერნიცი, პიაჩენტინი, სერენა

გაძევება: შვარცი (63)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 7 | 5 | 1 | 1 | 12-6 | 16 |
| იუვენტუსი | 7 | 4 | 2 | 1 | 14-5 | 14 |
| პარმა | 7 | 4 | 2 | 1 | 11-7 | 14 |
| ნაპოლი | 7 | 4 | 2 | 1 | 10-6 | 14 |
| ლაციო | 7 | 3 | 4 | 0 | 12-6 | 13 |
| ფიორენტინა | 7 | 4 | 0 | 3 | 11-9 | 12 |
| ვიჩენცა | 7 | 3 | 2 | 2 | 7-5 | 11 |
| უდინეზე | 7 | 3 | 2 | 2 | 9-8 | 11 |
| ინტერი | 7 | 2 | 3 | 2 | 8-5 | 9 |
| სამპდორია | 7 | 2 | 3 | 2 | 10-8 | 9 |
| ატალანტა | 7 | 2 | 3 | 2 | 7-9 | 9 |
| ბარი | 7 | 2 | 2 | 3 | 11-12 | 8 |
| რომა | 7 | 1 | 4 | 2 | 6-7 | 7 |
| კალიარი | 7 | 2 | 1 | 4 | 4-9 | 7 |
| პიაჩენცა | 7 | 2 | 1 | 4 | 7-15 | 7 |
| ტორინო | 7 | 1 | 3 | 3 | 7-12 | 6 |
| კრემონეზე | 7 | 0 | 2 | 5 | 6-13 | 2 |
| პადოვა | 7 | 0 | 1 | 6 | 5-15 | 1 |

ბომბარდირები: პროტი (ბარი) — 7, ბერპოფი (უდინეზე) — 6, ვიალი, რავანელი (იუვენტუსი), ვეა (მილანი), სტოიჩკოვი (პარმა), სინიორი (ლაციო), კაჩა (პიაჩენცა), ოტერო (ვიჩენცა), ამორუზო (პადოვა) — 4-4

### სერია B

აველინო — ბოლონია 1:0 (კრინიტი 45 პ)

კიევო — პისტოიეზე 1:1 (ჯორდანო 54; დ ანჯელო 49, საკ. კარში)

ბრეშია — პალერმო 0:0

ჩეზენა — რეჯანა 1:1 (პუბნერი 24; ჩევოლი 65)

კოზენცა — ჯენოა 1:1 (მიკელი 32; მონტელა 87 პ)

ფ. ანდრია — რეჯინა 1:0 (მაზოლინი 91 პ)

პერუჯა — ლუკეზე 5:0 (ნეგრი 22,63, ჯუნტი 65, როკო 67, მეოჩი 93)

ვენეცია — ვერონა 1:1 (სკიენცა 17; ტომაზი 24)

სალერნიტანა — ანკონა 1:0 (ტუდისკო 3)

პესკარა — ფოჯა 3:2 (პალადინი 15, კარნევალე 23,43; კონსაგრა 2, პ. ბრეშანი 6)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჯენოა | 9 | 5 | 3 | 1 | 18-9 | 18 |
| სალერნიტანა | 9 | 5 | 2 | 2 | 9-2 | 17 |
| ბოლონია | 9 | 4 | 4 | 1 | 9-5 | 16 |
| ვერონა | 9 | 4 | 3 | 2 | 13-8 | 15 |
| პესკარა | 9 | 4 | 3 | 2 | 13-10 | 15 |
| აველინო | 9 | 4 | 2 | 3 | 9-8 | 14 |
| ბრეშია | 9 | 3 | 4 | 2 | 10-8 | 13 |
| პალერმო | 9 | 2 | 7 | 0 | 7-5 | 13 |
| ჩეზენა | 9 | 3 | 3 | 3 | 12-10 | 12 |
| პისტოიეზე | 9 | 3 | 3 | 3 | 11-9 | 12 |
| ფ. ანდრია | 9 | 3 | 2 | 4 | 11-12 | 11 |
| ანკონა | 9 | 3 | 1 | 5 | 12-13 | 10 |
| პერუჯა | 9 | 2 | 4 | 3 | 9-10 | 10 |
| კოზენცა | 9 | 2 | 4 | 3 | 8-10 | 10 |
| ფოჯა | 9 | 2 | 4 | 3 | 6-9 | 10 |
| კიევო | 9 | 1 | 6 | 2 | 8-9 | 9 |
| რეჯანა | 9 | 1 | 5 | 3 | 8-12 | 8 |
| ლუკეზე | 9 | 1 | 4 | 4 | 5-12 | 7 |
| რეჯინა | 9 | 0 | 7 | 2 | 5-13 | 7 |
| ვენეცია | 9 | 1 | 3 | 5 | 4-13 | 6 |

ბომბარდირები: არტისტიკო (ანკონა), მონტელო (ჯენოა) — 7-7, ლუიზო (აველინო) — 6

## თასების თასი

მერვედფინალის პირველი მატჩები. 19 ოქტომბერი

ტრაბზონსფორი (თურქეთი) — დეპორტივო (ესპანეთი) 0:1
პარი სენ-ჟერმენი (საფრანგეთი) — სელტიკი (შოტლანდია) 1:0
ჰალმშტადი (შვედეთი) — პარმა (იტალია) 3:0
ევერტონი (ინგლისი) — ფეიენოორდი (ჰოლანდია) 0:0
სპორტინგი (პორტუგალია) — რაპიდი (ავსტრია) 2:0
სარაგოსა (ესპანეთი) — ბრიუგე (ბელგია) 2:1
დინამო (მოსკოვი, რუსეთი) — პრადეც კრალოვე (ჩეხეთი) 1:0
მონხენგლადბახი (გერმანია) — ა.გ.ქ. (საბერძნეთი) 4:1

ოლიმპიზმი

# ჭკვიანურად და გულიანად მუშაობთ!

ევროპის ოლიმპიური კომიტეტების პრეზიდენტის დოქტორ ჟაკ როგის 24-საათიანი სამუშაო ვიზიტი თბილისში ოლიმპიური მუზეუმის გახსნას დაემთხვა. ევროპის ოლიმპიზმის მეთაურმა ეს ფაქტი და თავად მუზეუმი ცალსახად დადებითად შეაფასა. მაგრამ ბატონი როგის მისია ამით არ ამოწურულა: იყო შეხვედრები ჩვენი სპორტისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან, საუბრები, რეკომენდაციები, სამომავლო გეგმების დასახვა. თავის კოლეგებისგან განსხვავებულმა, პირდაპირმა და ენაწყლიანმა დოქტორმა ოლიმპიურ კომიტეტში გამართულ პრეს-კონფერენციაზე ჟურნალისტებთანაც ბევრი ისაუბრა, იმდენი, რომ შეხვედრამ დაგეგმილზე ოცი წუთით მეტ ხანს გასტანა.

ჟაკ როგი ახალგაზრდობაში მრავალმხრივი სპორტსმენი იყო — გახლდათ მსოფლიოს ჩემპიონი და სამი ოლიმპიადის მონაწილე აფროსნობაში, პარალელურად რაგბის თამაშობდა და ბელგიის ეროვნული ნაკრების ღირსებას იცავდა. შემდეგ პრეზიდენტობდა ბელგიის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს. მიუხედავად ამგვარი დატვირთული ცხოვრებისა, ბატონ როგს ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია ძირითადი საქმიანობა — განთქმული ქირურგი დღეს ბრიუსელში დიდ კლინიკას ხელმძღვანელობს.


ჟაკ როგი

### მაგალითი — საქართველო

„ჩემი აზრით, საქართველოში ძლიერი ოლიმპიური კომიტეტი და ოლიმპიური მოძრაობაა. შედარებისთვის ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების მაგალითს მოვიყვან. ჩვენს ორგანიზაციაში ამგვარი სახელმწიფოების 10 ოლიმპიური კომიტეტია გაერთიანებული. შეუძლებელია თქვენი ეოკ-ის შედარება რუსეთისა და უკრაინის ანალოგიურ ორგანიზაციებთან, რადგან ისინი დიდი ქვეყნები არიან. მაგრამ სხვებთან შედარებით თქვენ ყველაზე ორგანიზებული კომიტეტი გყავთ. ეს არ ნიშნავს, რომ დანარჩენები ცუდები არიან, უბრალოდ, თქვენი ოლიმპიური მოძრაობა პირდაპირაა დაკავშირებული თქვენი ეროვნული ვინაობის, თვითაღიარებისა და თვითდამკვიდრების გრძნობასთან, რაც მუდამ გაგაჩნდათ. აღსანიშნავია ქართველი ათლეტებისა და სპორტის ხელმძღვანელების მაღალი დონე. ძალიან ბევრს ნიშნავს, როცა 5-მილიონიან ქვეყანას ამდენი ოლიმპიური მედალი აქვს მოპოვებული. ეს კი ადასტურებს, რომ თქვენ საქმეს გონებითა და გულით აკეთებთ. თქვენ გაქვთ საუკეთესო თვისებები, რათა ოლიმპიურ სარბიელზე დიდ წარმატებებს მიაღწიოთ.

ვიცი, ეკონომიკურად გიჭირთ. ამისთვის ჩვენ ვაგრძელებთ თქვენს დახმარებას, როგორც მორალურად, ისე მატერიალურად. მაგრამ მსურს გარკვევით გითხრათ: ოლიმპიური მოძრაობა თქვენგან უფრო მეტს მოითხოვს, ვიდრე გაძლევთ. ჩვენ მეტის მიღება გვსურს. საქართველოში უნდა მოხდეს ნიჭიერი სპორტსმენების აღმოჩენა და აღზრდა, რადგან თქვენთან ამის კარგი მეთოდიკა არსებობს. ჯერჯერობით კმაყოფილები ვართ თქვენი განვითარებითა და მუშაობით. შესანიშნავად ატარებთ მასობრივი სპორტის იმ პოლიტიკას, რომელსაც „სპორტი ყველასათვის" ჰქვია. გუშინ მთელი ქალაქი სპორტულ ღონისძიებებს მოეცვა — თავად გახლდით ამის მოწმე. მოკლედ, საქართველო სამაგალითოა, თუ როგორ უნდა მუშაობდეს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი."


ოლიმპიური მუზეუმის გახსნაზე

### რა უნდა პოლიტიკას სპორტში?

„დღეს ევროპაში იქმნება ზესახელმწიფო, რომელსაც ევროკავშირი ჰქვია. მაგრამ ჩვენ, ოლიმპიური მოძრაობა, ევროკავშირს განვიხილავთ როგორც დიდ პოლიტიკურ სხეულს, რომელშიაც 15 სახელმწიფო შედის (აქ დოქტორმა როგმა საბჭოთა კავშირის მაგალითი მოიყვანა — რედ.). ამდენად, მას სპორტთან არავითარი კავშირი არ ექნება. ევროპის ოლიმპიურ მოძრაობაში 49 ქვეყანაა გაერთიანებული. ჩვენი მთავარი პრინციპია, რომ სპორტში ერი დარჩეს ერად, არავითარი კავშირი პოლიტიკურ სამყაროსთან."

### „შინდისფერი ალამი, თეთრი და შავი ზოლითა"

აქვე დოქტორ როგს სოკ-ის პრეზიდენტის სამარანჩის ერთი განცხადების კომენტარი სთხოვეს. დონ ხუანს უთქვამს, არ გამოვრიცხავთ მომავალ ოლიმპიადებზე ყოფილი საბჭოური ქვეყნების გაერთიანებულ გუნდად გამოსვლასო. პასუხი ამგვარი გახლდათ:

„ჩემი აზრით, გამორიცხულია რომელიმე გაერთიანებულ გუნდზე საუბარი. ამგვარი პრეცენდენტი ორჯერ დავუშვით 1992 წელს — ალბერვილსა და ბარსელონაში. ეს იმიტომ მოხდა, რომ ტექნიკური საკითხების მოგვარება არ ესწრებოდა — საბჭოთა კავშირი ძალიან მოულოდნელად და სწრაფად გაქრა მსოფლიოს რუკიდან. მომავალში ასეთი რამ გამორიცხულია, ჩვენ გვსურს ოლიმპიადებზე საქართველოს დროშა ვიხილოთ".

### თუ სპორტსმენი სხვაგან გარბის

„სპორტსმენთა მიგრაცია არა მხოლოდ თქვენი, არამედ ყველა პატარა ქვეყნის პრობლემაა. შარშან, პორტუგალიაში სოკ-ის გენერალურ ასამბლეაზე ამის საწინააღმდეგოდ რეზოლუცია მივიღეთ, მაგრამ მას, სამწუხაროდ, იურიდიული ძალა არ ჰქონდა. ახლა მიგრაციის წესები სავსებით ნათელია: თუკი სპორტსმენმ ქვეყანა გამოიცვალა, მან სამი წელიწადი უნდა იცხოვროს ახალ სამშობლოში, რათა ოლიმპიადაზე გამოსვლის უფლება მიიღოს. გარდა ამისა, ყოფილი სამშობლოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა ასპარეზობის უფლება უნდა მისცეს. კახიაშვილის შემთხვევაშიც საბოლოო გადაწყვეტილება სეოკ-მა უნდა მიიღოს — დართოს ნება თუ არა მას ატლანტაში გამოსვლაზე. მაგალითად, რუმინეთმა არ მისცა ამის უფლება ზამ მძლეოსან ქალს, რომლებიც ახლა გერმანიის მოქალაქეები არიან.

საერთოდ, არსებობს სპეციფიკური, ობიექტური მიზეზები, რის გამოც სპორტსმენი მოქალაქეობას იცვლის: სხვა ქვეყნის მოქალაქეზე ქორწინება, თავის ქვეყანაში ეროვნულ უმცირესობაში ყოფნა და ამის გამო გარკვეული ზეწოლის განცდა და სხვ. ეს გასაგებია, მაგრამ როცა ათლეტმა არ იცის ახალი ქვეყნის ენა, წეს-ჩვეულებები და მოქალაქეობას მხოლოდ ამერიკული დოლარებისთვის იცვლის, მე ეს არ მესმის და შოკში მაგდებს. ჩემი აზრით, წესები საკმაოდ მკაცრია იმისთვის, რომ მიგრაციას ხელი შევუშალოთ."

### მედოპინგეებს მეტიც ეკუთვნით

„დოპინგი სავალალო მოვლენაა სპორტში. სასჯელიც იმაზეა დამოკიდებული, თუ რას დაამავებს სპორტსმენი. თუ ანაბოლიკს მიიღებს — ორი წლით დისკვალიფიკაცია, უფრო მსუბუქ წამალზე, მაგალითად, ეფედრინზე — სამი თვე. ეს გასაგებია, რადგან ეფედრინი შეიძლება შემთხვევით მიიღო, ანაბოლიკი კი — არა. ზოგიერთ ფედერაციას დამსჯელი ზომები უფრო გამკაცრებული აქვს და საქმე სამუდამო დისკვალიფიკაციამდეც მიჰყავს. წესები მკაცრია, მაგრამ აუცილებელი. პირადად მე მათ ვეთანხმები."

### სულ ხომ არ ვიბრძოლებთ?

„ოლიმპიური პროგრამების გაზრდა მეტად საკამათო საკითხია. ყველა ქვეყანას სურს თამაშებში ის სახეობა შეიტანონ, რომელიც მასთანაა განვითარებული. საქართველოში მკითხეს აზრი ჭადრაკისა და სამბოს გაოლიმპიურებაზე. არ ვიცი, მომავალს ვერ ვიწინასწარმეტყველებ, მაგრამ უახლოეს 10 წელიწადში, ვფიქრობ, არაფერი მოხდება. ვიცი, რომ ჭადრაკი თქვენთან პოპულარულია, ასევე ევროპაშიც, ხოლო ჩემს ქვეყანაში ჭადრაკის ფედერაცია ოლიმპიური კომიტეტის წევრია. მაგრამ მარტო ეს საკმარისი არ არის. აფრიკაში და აზიაში სხვაგვარად ფიქრობენ. ბევრი ქვეყანა ჭადრაკს სპორტად არა სცნობს — იგი გონებრივ თამაშად მიაჩნიათ. ამ ეტაპზე მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ ფიდე-მ დაარწმუნოს სოკ-ი ჭადრაკის მსოფლიო განვითარებაში. რაც შეეხება სამბოს — არც იგი გახლავთ უნივერსალური სახეობა. სამბოს პატივს სცემენ ევროპასა და აზიაში, მაგრამ სხვა კონტინენტებზე მას საერთოდ არ იცნობენ. თანაც, 2000 წლის ოლიმპიადაზე ჩვენ პროგრამაში შევიტანეთ ორთაბრძოლების კიდევ ერთი სახე — ტაეკვანდო. მის გარდა სხვა ორთაბრძოლებიცაა: ძიუდო, ორივე სტილით ჭიდაობა, კრივი... ბევრი ბრძოლაა და სულ ბრძოლაში ხომ არ ვიქნებით? რას იზამ, ოლიმპიადაზე მხოლოდ 26 სახეობაა."

### ძიუდოს ხელს არ ვახლებთ!

დოქტორ როგის ორგანიზაცია ერთ დიდ შეჯიბრებას — ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ დღეებს ატარებს. საქართველომ უკვე ორჯერ მიიღო მასში მონაწილეობა, თანაც გარკვეული წარმატებით. ამდენად, სავსებით ლოგიკურია, რომ ა ასპარეზობის თაობაზე რამდენიმე კითხვა დაისვა.

„ზაფხულის ეაოდ-ების პროგრამაში სპორტის 10 სახეობაა შეტანილი. ლიმიტირებულია მონაწილეთა რაოდენობაც — 2 500 კაცი. ეს იმისთვის, რომ ნებისმიერმა ქვეყანამ შეძლოს ასპარეზობის მასპინძლობა. ცხადია, პროგრამის გაზრდაც შეიძლება, მაგრამ არ ივარგებს, ძვირი დაჯდება და ბევრი სახელმწიფო დაიჩაგრება.

ეაოდ-ებში სპორტის 4 გუნდური სახეობაა და თითოეულში 8-8 ქვეყანა მონაწილეობს. ჩვენი პრინციპის თანახმად, ერთ ქვეყანას მხოლოდ ერთ სახეობაში შეუძლია გუნდის გამოყვანა, რათა მაქსიმალურად მეტი გუნდი ვაასპარეზოთ. მიუხედავად ამისა, ბევრი დისკუსია იმართება მონაწილე გუნდების რიცხვის გაზრდის თაობაზე. 16 გუნდის დაშვება წარმოუდგენელია, რადგან შეჯიბრება სულ 4 დღის მიმდინარეობს და ელემენტარულად ვერ მოვასწრებთ. ალბათ საკვალიფიკაციო ტურნირზეც უნდა ვიფიქროთ. ამას იმიტომ არ ვაკეთებთ, რომ ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებს ფული არა აქვთ. მაგალითად, წარმოიდგინეთ რამხელა თანხა დაჯდება საქართველოსა და ისლანდიის საკვალიფიკაციო მატჩის ჩატარება. შეიძლება შერჩევის რეგიონალურ პრინციპზეც ვიფიქროთ, მაგრამ კიდევ ერთი წინააღმდეგობა არსებობს: საკვალიფიკაციო ტურნირი ერთი წლით ადრე უნდა ჩავატაროთ. აქ ნაასპარეზებ ბავშვებს ეაოდ-ისთვის ასაკი გაუვათ, მოგეხსენებათ, ამ შეჯიბრებაში მონაწილეთა ასაკი შეზღუდულია. ერთი სიტყვით, გამოსავალი უნდა მოვძებნოთ, ამაში კი ეოკ-ებს დიდი როლი ენიჭებათ — მათ აზრს პირველ რიგში გავითვალისწინებთ.

შესაძლებელია ეაოდ-ის პროგრამის გადახინჯვაც. თუმცაღა, არა მგონია, ცურვა ან მძლეოსნობა პროგრამიდან ამოვაგდოთ. დამშვიდდით, ძიუდოს ხელს არ ვახლებთ — ამ სახეობაში როგორც თქვენი, ისევე ჩემი ქვეყანა საკმაოდ ძლიერია და ამიტომ მას არაფრით არ შევცვლით."

მერაბ რატიშვილი

კალათბურთი

## საქართველოს ჩემპიონატი

ვერის ბალი

20 ოქტომბერი

**დინამო — ქუთაისი 105:60**

დინამო: ჩიქოვანი (6), მაისურაძე (14), ულენტი (13), ცაგარეიშვილი (6), ბეჟანიშვილი (16), გოგუა (7), სხიერელი (7), კილაძე (8), ბერძენიშვილი (10), ხოშტარია (18)

ქუთაისი: ჭეიშვილი (4), გუმბერიძე (20), ბერეკაშვილი (10), ჯალაღანია (4), თურქაძე (15), სამხარაძე, ჩიხრაძე (3), ბარბაქაძე (2), ნიჟარაძე (2)

**მაკაბი — სოხუმი 93:55**

მაკაბი: ტალაბაძე (9), დავარაშვილი (2), შველიძე (9), ტაბატაძე (11), კალანდაძე (4), ანდღულაძე (22), ხუხაშვილი (18), ჩაჩხიანი (18)

სოხუმი: ჯიგანია (12), ბენდიანიშვილი (10), ბერია (4), კვაჭაძე (9), წვერიკმაზაშვილი (7), კიკალიშვილი, კარტოზია (5), ვაშაკიძე (3), აბულაძე (3), სიხარულიძე (2)

**კაქტუსი — რუსთავი 92:61**

კაქტუსი: გაგნიძე (3), აბულაძე (6), მეჭურჭლიშვილი, მაჭარაძე (12), დავითულიანი (13), ოთიურიძე (17), აბრამიძე (8), ახალკაცი, ჩუბინიძე (15), ჩხეიძე (18)

რუსთავი: აბზიანიძე (8), კიკვიძე (4), გოგოლაძე, წიკლაური (4), ხაიაური (2), გურასპაული (11), მ. ბერუაშვილი (9), კეჭაყმაძე (8), მიქიაშვილი (7), გ. ბერუაშვილი (8)

**II ჯგუფის მდგომარეობა**

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 5 | 5 | 0 | 547-326 | 10 |
| კაქტუსი | 5 | 4 | 1 | 440-316 | 9 |
| რუსთავი | 5 | 3 | 2 | 424-399 | 8 |
| მაკაბი | 5 | 2 | 3 | 369-432 | 7 |
| ქუთაისი | 5 | 1 | 4 | 343-426 | 6 |
| სოხუმი | 5 | 0 | 5 | 239-463 | 5 |

**ბომბარდირები**

(ქულა, თამაში, საშუალო)

| | | | |
|---|---|---|---|
| დავით ბერეკაშვილი (ქუთაისი) | 108 | 5 | 21,6 |
| ირაკლი მაისურაძე (დინამო) | 102 | 5 | 20,4 |
| ალეკო დავითულიანი (კაქტუსი) | 90 | 5 | 18,0 |
| მალხაზ ანდღულაძე (მაკაბი) | 89 | 5 | 17,8 |
| გია თურქაძე (ქუთაისი) | 83 | 5 | 16,6 |
| ვასილ ოთიურიძე (კაქტუსი) | 79 | 5 | 15,8 |
| ვაკო ბეჟანიშვილი (დინამო) | 74 | 5 | 14,8 |
| შალვა ცხვედიანი (დინამო) | 71 | 4 | 17,7 |
| ვალერი კილაძე (დინამო) | 71 | 5 | 14,2 |

ცხრილში შეყვანილი არიან მოთამაშეები, ვინც 70 ან მეტი ქულა გააკეთა

**სამქულიანები**

| | |
|---|---|
| გია თურქაძე (ქუთაისი) | 21 |
| პაატა გურასპაული (რუსთავი) | 16 |
| ირაკლი მაისურაძე (დინამო) | 16 |
| მალხაზ ანდღულაძე (მაკაბი) | 13 |
| შალვა ცხვედიანი (დინამო) | 12 |
| ლადო აბულაძე (კაქტუსი) | 10 |
| მიხეილ ხუხაშვილი (მაკაბი) | 10 |

**საჯარიმოები**

(ნასროლი, ჩაგდებული, %)

| | | | |
|---|---|---|---|
| ვაკო ბეჟანიშვილი (დინამო) | 11 | 10 | 90,9 |
| გია ბერუაშვილი (რუსთავი) | 21 | 17 | 80,9 |
| არჩილ ულენტი (დინამო) | 13 | 10 | 76,9 |
| მამუკა აბრამიძე (კაქტუსი) | 19 | 14 | 73,6 |
| ვალერი კილაძე (დინამო) | 19 | 14 | 73,6 |
| დავით ბერეკაშვილი (ქუთაისი) | 43 | 27 | 62,7 |
| ზურაბ ჩუბინიძე (კაქტუსი) | 16 | 10 | 62,5 |
| ილია კეჭაყმაძე (რუსთავი) | 18 | 11 | 61,1 |

ცხრილში შეყვანილია მოთამაშეები, ვინც 10 ან მეტი საჯარიმო ჩააგდო, ამასთანავე 60%-ზე მეტი შედეგი ჰქონდა

ბატუტი

## ბატუტზე ისევ ხტიან


ლია ბენდიანიშვილი

დრო იყო, ბატუტზე მხტომე[illegible] მსოფლიოს ჩემპი[illegible] [illegible] ლი სპორტსმენებისთვის ჩვეულებრივი ამბავი იყო, მაგრამ ამ ბოლო ხანს ეს სახეობა თითო-ოროლა ფანატიკოსის გარდა აღარავის ახსოვს. ერთ-ერთი მათგანია საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი ზაურ სულაშვილი, რომლის დიდი მეცადინეობით ახლახან გიორგი რცხილაძის სახელობის ტანვარჯიშის დარბაზში გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი, რომელიც ამავდროულად ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ შეჯიბრსაც წარმოადგენდა და საქართველოს ნაკრების კანდიდატები უნდა დაესახელებინა. გამარჯვებულთა სიაში კვლავაც სახე ლოვანი სპორტსმენები სჭარბობდნენ, ასპარეზობას კი საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი ვალერი ჩხაველიძე უძღვებოდა...

სინქრონული ხტომები. გოგონები.

1. რუსუდან ხოფერია, ლია ბენდიანიშვილი — 71,1 ქულა, 2. ნატო ჩიტაური. ნინო ტალახაძე — 64,9

ვაჟები:

1. უჩა ცუცქირიძე, ლევან გაბიდაური — 57,1; 2. გიორგი კენჭაძე, ვახტანგ ბარათაშვილი — 48,5

ინდივიდუალური ხტომები. გოგონები:

1. ხათუნა ბენდიანიშვილი 31,9, 2 რუსუდან ხოფერია 31,2, 3. გვანცა ჩიტიშვილი 29,7

ვაჟები:

1. კახა გობრონიძე 32,3; 2. ტატო მსხვილაძე 29,7; 3. ეფრემ ბაინდურაშვილი 29,6

მართლაც აღსანიშნი და ძალზე სასიამოვნოა, ამდენი ხნის შესვენების შემდეგ ლია ბენდიანიშვილისა და რუსუდან ხოფერიას სახელების გაგონება. რომ არა ინდივიდუალური ხტომებისას მიღებული ტრავმა, რომელიც ლიამ ურთულესი ილეთის შესრულების დროს მიიღო, იგი, ალბათ, ამ სახეობაში ყველას აჯობებდა...

ზაურ სულაშვილმა გვითხრა, რომ ჩვენი გუნდი მიწვეულია საფრანგეთში, ევროპის ჩემპიონატზე, რომელიც 26 ნოემბრიდან 3 დეკემბრამდე გაგრძელდება. გოგონათაგან სამი გაემგზავრება, ვაჟებიდან კი ალბათ მხოლოდ ბათუმელი კახა გობრონიძე შეძლებს ამას, რაკილა მას აჭარის სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე თენგიზ ბოლქვაძე აფინანსებს. თემურ მუმლაძე და კოტე ძებისაშვილი კი უსახსრობის გამო ალბათ ვერ მოხვდებიან ევროპის ჩემპიონატზე. საფრანგეთამდე ჩვენი ნაკრები ფრანკფურტშიცაა მიწვეული, სადაც ერთკვირიანი შეკრება იმართება საერთაშორისო სტანდარტების იარაღებზე მისაჩვევად, მაგრამ ფრანკფურტს ვილა ჩივის, ნაკრებს საფრანგეთში გასამგზავრებელი თანხებიც საშოვნელი აქვს, ის კი არა, ერთიანი სპორტული ფორმის ფულიც არა ჰქონიათ. მოკლედ, სპონსორებს ეძებენ...

მაია გიორგაძე

ჭადრაკი

## სპრინტერული ჩემპიონატი

თბილისის ჭადრაკის სასახლეში გრძელდება საქართველოს ქალთა 52-ე ჩემპიონატი ჭადრაკში. ტურნირში 10 მონაწილეა, მათ შორის სამი საერთაშორისო ოსტატი (მირანდა ხორავა, სოფიო ნიკოლაძე, ციალა ქასოშვილი) და ორი ფიდეს ოსტატი (დიანა დარჩია, სოფიო ტყეშელაშვილი).

მოასპარეზეთორი მიზანი აქვთ: საქართველოს ჩემპიონის წოდების მოპოვება და საერთაშორისო ოსტატის ბალის მიღება (ცხადია, მათ, ვისაც ეს არა აქვს). ბალის მისაღებად საკმარისია 9-დან 6,5 ქულის მოგროვება.

5 ტურის შემდეგ ხორავას 4,5 ქულა აქვს, ნიკოლაძეს და ქასოშვილს — 4-4. ბალის მაძიებელთაგან მიზანს რეალურად უმიზნებს ტყეშელაშვილი — 3,5.

# სარბიელი

## ტოტალიზატორი "CROCO"

ჩემპიონთა ლიგა 25.10

| | | | |
|---|---|---|---|
| ოლბორგი — პანათინაიკოსი | 3,4 | 2,7 | 1,6 |

იტალიის თასის მერვედფინალი

24.10

| | | | |
|---|---|---|---|
| ფიორენცუოლა — ინტერი | 7,0 | 3,3 | 1,1 |

25.10

| | | | |
|---|---|---|---|
| ლერე — ფიორენტინა | 6,0 | 3,1 | 1,2 |
| ფორლი — მილანი | 7,0 | 3,3 | 1,1 |
| კალიარი — სამპდორია | 1,6 | 2,8 | 3,2 |
| პალერმო — ვიჩენცა | 2,0 | 2,8 | 2,2 |
| უდინეზე — ლაციო | 2,0 | 2,4 | 2,4 |
| ატალანტა — იუვენტუსი | 3,9 | 2,9 | 1,45 |

26.10

| | | | |
|---|---|---|---|
| ბოლონია — რეჯანა | 1,25 | 3,0 | 5,6 |

ჰოლანდიის ჩემპიონატი. მე-11 ტური 25.10

| | | | |
|---|---|---|---|
| უტრეხტი — ეინდჰოვენი | 7,0 | 3,3 | 1,1 |
| როდა — ვილემ II | 1,5 | 2,9 | 3,6 |
| სპარტა — ვიტესი | 1,3 | 3,0 | 5,0 |
| აიაქსი — ვოლენდამი | 1,05 | 3,2 | 12,0 |
| ფეიენოორდი — გრაafსხაპი | 1,05 | 3,2 | 12,0 |
| ჰერენვეენი — გოუ ეჰედ | 1,15 | 3,1 | 7,0 |

საფრანგეთის ჩემპიონატი მე-15 ტური 27.10

| | | | |
|---|---|---|---|
| ოსერი — ლილი | 1,15 | 3,1 | 7,0 |
| მარტიგი — ბორდო | 2,4 | 2,4 | 2,2 |
| მეცი — პსჟ | 1,8 | 2,6 | 2,8 |
| რენი — ნიცა | 1,8 | 2,5 | 3,0 |
| კანი — მონაკო | 3,4 | 3,0 | 1,5 |
| ლიონი — ბასტია | 1,35 | 2,9 | 4,7 |
| მონპელიე — გენიონი | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| სტრასბური — სტ. ეტიენი | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| ლანსი — გინგამი | 1,35 | 2,8 | 5,0 |
| ლე ავრი — ნანტი | 3,2 | 2,8 | 1,6 |

ფსონების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

## თამაშის წესები

თამაშში მონაწილის მიზანია გამოიცნოს მატჩის ძირითადი დროის შედეგი. მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტი ყოველ შესაძლო შედეგზე. შედეგის გამოცნობის შემთხვევაში მიიღებთ თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია. ფსონები მიიღება მატჩის ანგარიშის გამოცნობაზეც (კოეფიციენტი — 4,0). ფსონის მინიმალური თანხაა — 20 თეთრი.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩზე ერთდროულად. თუ ფსონს ჩამოხვალთ რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, თქვენი კოეფიციენტი ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს შეადგენს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე).

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში და, შესაბამისად, მატჩის შედეგიც განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ერთი და იგივე მატჩის შეტანა ერთ ვარიანტში ორი სხვადასხვა სახით (მაგ: ლაციო — პარმა 1, და პარმა — ლაციო 2-1) არ შეიძლება, კოეფიციენტები არ გამრავლდება. კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზებისთვის: შედეგი — შედეგზე, თასის ალება — თასის ალებაზე და ა.შ.

თუ მატჩი ჩატარდა დანიშნულ თარიღზე ადრე, მატჩის ჩატარების შემდეგ ჩამოსული ფსონები, მიუხედავად მასში აღნიშნული შედეგისა, დაბრუნდება უკან. ფსონები უქმდება მაშინაც, თუ მატჩი გადაიდო, შეიცვალა მასპინძელი გუნდი ან არ დამთავრდა (ჩაიშალა). თუ ასეთი მატჩები შეტანილია სხვა მატჩებთან ერთად ორ ვარიანტში, მაშინ ვარიანტი განიხილება ამ თამაშის გარეშე. თუ მატჩი დამთავრდა, მისი შედეგი დაფიქსირდა, შემდეგ კი იგი გაპროტესტდება და გადათამაშდება, მოგებები გაიცემა პირველი მატჩის შედეგის მიხედვით. თუ ფსონი დადებულია გუნდის შემდგომ ეტაპზე გასვლაზე და თამაშის შედეგად გუნდი გავა კიდევაც, შემდეგ კი რაიმე სანქციების გამო შემდეგ ეტაპზე გასულად სხვა გუნდი ჩაითვლება, მოგებები გაიცემა თამაშის შედეგად შემდეგ ეტაპზე გასულ გუნდზე. თუ ტურში არ ჩატარდება რომელიმე მატჩი, ფსონი კი დადებულია გატანილი გოლების რაოდენობაზე, მოგება გაიცემა ან ფსონი წაგებულად ჩაითვლება, თუ ამ მატჩის შედეგი გავლენას ველარ ახდენს პროგნოზის გამოცნობაზე. სხვა შემთხვევაში ფსონი ბრუნდება უკან.

მოთამაშე პასუხისმგებელია ქვითრის სწორად შევსებისთვის. თუ ქვითრის ორი ნაწილი განსხვავებულად არის შევსებული, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ტოტალიზატორში ჩაბარებულ ნაწილს.

მოგებები გაიცემა და ფსონები უკან ბრუნდება ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ, ქვითრის გარეშე და არასწორად ან არასრულად შევსებულ ქვითრებზე მოგებები არ გაიცემა. თუ ქვითარში არ არის მითითებული თანხა, ფსონები ჩაითვლება მისი მინიმალური ოდენობით (20 თეთრი).

ფსონები მიიღება: სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს და შაბათს 13-დან 16 საათამდე სასტუმრო „აჭარის" ფოიეში.

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ALBACETE BALOMPIE | ■ | | | | | | | | | | | | 0-1 | | | | 3-2 | | | 4-2 | 4-0 | |
| 2 | RCD ESPAÑOL BARCELONA | 1-0 | ■ | | | | 0-0 | | | | | | 1-0 | | | | 3-1 | | | | | | |
| 3 | FC BARCELONA | | | ■ | 4-1 | | | | | 2-0 | | 4-1 | | | | | | | | | | | 2-2 |
| 4 | ATHLETIC DE BILBAO | | | | ■ | | 2-1 | | 0-2 | | | | 4-0 | | | | | 1-1 | | | | | |
| 5 | SD COMPOSTELA | | | | | ■ | | 4-0 | | 1-0 | | 4-1 | | | | | | | | | | | 4-0 |
| 6 | SPORTING GIJON | 3-0 | | | | | ■ | | | | | | 4-2 | | | | | 3-1 | | | | 1-0 | |
| 7 | DEPORTIVO LA CORUÑA | 5-0 | | | | | | ■ | | | | | 2-3 | | | | 2-0 | | | 3-0 | | | |
| 8 | ATLETICO DE MADRID | | 2-1 | | | | 2-0 | 1-0 | ■ | | | | | | 4-1 | | | | | | | | |
| 9 | RAYO VALLECANO | | | | | | | | | ■ | 1-5 | | | | | 1-2 | 1-4 | | | 3-2 | | | |
| 10 | REAL MADRID CF | | | 1-1 | 1-2 | 2-1 | | | | | ■ | 2-3 | | | | | | | | | | | |
| 11 | REAL OVIEDO | | | | 0-0 | | | | | 2-0 | | ■ | | | | 0-1 | | | | 0-1 | | | |
| 12 | RACING SANTANDER | | | | | | | | 0-4 | | | | ■ | | | | | 1-1 | | | 0-0 | 2-1 | |
| 13 | REAL ZARAGOZA | | | 0-3 | | 1-0 | | | | | | 1-0 | | ■ | | | | | 0-2 | | | | |
| 14 | REAL SOCIEDAD | | 0-1 | | | | 2-0 | 2-1 | | | | | | | ■ | | | | | | | | 1-2 |
| 15 | REAL BETIS SEVILLA | | | 1-5 | 0-0 | | | | | | 0-0 | | | 3-1 | | ■ | | | | | | | |
| 16 | SALAMANCA | | | | | | | | | | 0-2 | | | 0-1 | | | ■ | | | | 0-0 | 0-1 | |
| 17 | SEVILLA FC | | 0-3 | | | | | | | | | | | | 2-1 | | | ■ | 0-1 | | | | |
| 18 | CD TENERIFE | | 1-4 | | | | | 1-1 | 0-0 | 2-2 | | | | | | | | | ■ | | | | 1-0 |
| 19 | VALENCIA CF | | | | | | | | | | 4-3 | | | 0-0 | | 1-1 | | | 1-0 | ■ | | | |
| 20 | REAL VALLADOLID | | | 0-2 | | 0-0 | | | | | | | | | 3-0 | | | | 3-0 | | ■ | | |
| 21 | RC CELTA VIGO | | | | | 0-1 | | | 0-3 | | | | | | 1-1 | | | | 2-2 | | | ■ | |
| 22 | MERIDA | 1-1 | | | | | | | | | | | | | | 1-1 | 0-0 | | | 0-2 | | | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ATALANTA BERGAMO | ■ | | | | | | | 1-1 | 1-3 | | 1-1 | 2-0 | | | | | | |
| 2 | AS BARI | | ■ | | | | | 1-0 | | 1-1 | | | | | 3-3 | | | | |
| 3 | US CAGLIARI | | | ■ | 1-0 | | | | | | | | | | 0-1 | | | | 0-0 |
| 4 | US CREMONESE | | | | ■ | | 0-0 | | | | | | | 0-1 | | | | | |
| 5 | AC FIORENTINA | | | 3-1 | 3-2 | ■ | | | | | | | | | | 2:0 | | | |
| 6 | SAMPDORIA | | | 1-2 | | | ■ | | | | | 3-0 | | 1-1 | | | | | |
| 7 | AC MILAN | 3-0 | | | | | | ■ | | | | | | | | | 2-1 | | 2-1 |
| 8 | INTER MILANO | | | | | | | | ■ | | | | 0-0 | | | 4-0 | | 1-0 | |
| 9 | SSC NAPOLI | | | | | 0-2 | | | 2-1 | ■ | 2-0 | | | | | | | | |
| 10 | AC PADOVA | | | | | | | 1-2 | | | ■ | 1-3 | | | | 1-1 | | | |
| 11 | AC PARMA | | | | | 3-0 | | | 2-1 | | | ■ | | | | | | 1-0 | |
| 12 | PIACENZA | | 3-2 | | | | 3-2 | | | | | | ■ | | | | | | 0-4 |
| 13 | AS ROMA | 0-1 | | | | | | 1-2 | | | | | | ■ | 0-0 | | | | |
| 14 | LAZIO ROMA | | | | | | | | | | 2-0 | | 4-1 | | ■ | | 2-2 | | |
| 15 | AC TORINO | | 3-1 | | | | 1-1 | | | | | | | 2-2 | | ■ | | | |
| 16 | UDINESE | | | 1-0 | 3-2 | | | | | | | | | | | | ■ | 1-1 | |
| 17 | VICENZA | | 2-0 | | | 1-0 | | | | | 2-1 | | | | | | | ■ | |
| 18 | JUVENTUS TORINO | | | | 4-1 | | | | | 1-1 | | | | | | | | 1-0 | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | FC ARSENAL | ■ | | | | | | | | | | | 1-1 | | 1-1 | | | 4-2 | | 1-0 | |
| 2 | ASTON VILLA | | ■ | | 1-0 | 0-1 | | | | | | 3-1 | | | 1-1 | | | | | | 2-0 |
| 3 | BLACKBURN ROVERS | | 1-1 | ■ | | | 5-1 | | | | | 1-2 | | | | 1-0 | | 2-1 | | | |
| 4 | BOLTON WONDERERS | | | 2-1 | ■ | | | 1-1 | | | | | 1-1 | 1-3 | | 0-1 | | | | | |
| 5 | FC CHELSEA | 1-0 | | | | ■ | 2-2 | 0-0 | | | | | | | | | | 3-0 | | | |
| 6 | COVENTRY CITY | 0-0 | 0-3 | | | | ■ | | | | 2-1 | | | | 1-1 | | | | | | |
| 7 | FC EVERTON | 0-2 | | | | | | ■ | | | | 2-3 | | 1-3 | | | | 2-0 | | | |
| 8 | LEEDS UNITED | 0-3 | 2-0 | | | | | | ■ | 1-0 | | | | | | 1-2 | 2-0 | | | | |
| 9 | FC LIVERPOOL | | | 3-1 | 5-2 | | 0-0 | | | ■ | | | | | | 1-0 | 1-0 | | | | |
| 10 | MANCHESTER CITY | 0-1 | | | | | | 0-2 | | | ■ | | 0-1 | | | | | | 1-1 | | |
| 11 | MANCHESTER UNITED | | | | 3-0 | | | | | 2-2 | 1-0 | ■ | | | | | | | | 2-1 | 3-1 |
| 12 | MIDDLESBROUGH | | | 2-0 | | 2-0 | 2-1 | | | | | | ■ | | | | | 0-0 | | | |
| 13 | NEWCASTLE UNITED | | | | | 2-0 | 3-0 | | | | 3-1 | | 1-0 | ■ | | | | | | | |
| 14 | NOTTINGHAM FOREST | | | | | 0-0 | | 3-2 | | | 3-0 | | | | ■ | | | | | 1-1 | |
| 15 | QUEEN'S PARK RANGERS | | | | | | | | | | 1-0 | | | 2-3 | | ■ | 0-3 | | 2-3 | | 0-3 |
| 16 | SHEFFIELD WEDNESDAY | | | 2-1 | | | | | | | | 0-0 | 0-1 | 0-2 | | | ■ | | 1-3 | | |
| 17 | FC SOUTHAMPTON | | | | | | | | 1-1 | | | | | 1-0 | 3-4 | | | ■ | | 0-0 | |
| 18 | TOTTENHAM HOTSPUR | | 0-1 | | | | | | 2-1 | 1-3 | | | | | 0-1 | | | | ■ | | 3-1 |
| 19 | WEST HAM UNITED | | | | | 1-3 | | 2-1 | 1-2 | | | | | | | | | | 1-1 | ■ | |
| 20 | FC WIMBLEDON | | | | 3-2 | | | | 2-4 | 1-0 | | | | | | | 2-2 | | | 0-1 | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | FORTUNA DUSSELDORF | ■ | | | | 2-2 | | 0-0 | 2-2 | | | 1-1 | | | | | | | 1-0 |
| 2 | SV WERDER BREMEN | 1-1 | ■ | 2-2 | | | | | | 1-1 | 1-0 | | | | | 2-0 | | | |
| 3 | BORUSSIA DORTMUND | | | ■ | | | | | | 1-1 | | | | 2-1 | 3-1 | | | 6-3 | |
| 4 | FC ST. PAULI | | | 0-3 | ■ | | | | | 1-2 | | | | | | 4-2 | | 1-3 | |
| 5 | FC HANSA ROSTOCK | | | 3-2 | 2-0 | ■ | | | | | | | 1-2 | 2-3 | | | | 3-3 | |
| 6 | EINTRACHT FRANKFURT | | | 3-4 | 2-2 | | ■ | | | 3-1 | 2-2 | | | | | 4-2 | | | |
| 7 | SC FREIBURG | | 0-1 | | 0-2 | | 2-0 | ■ | | | | | | | | | 1-2 | | |
| 8 | HAMBURGER SV | | 3-3 | | | 1-1 | | | ■ | | 0-0 | | | | | 2-2 | 1-1 | | |
| 9 | 1. FC KAISERSLAUTERN | | | | | | | | | ■ | | 1-1 | | 1-3 | 2-3 | | | 1-1 | |
| 10 | KARLSRUHER SC | 3-1 | | | | 0-2 | | | | | ■ | 1-0 | | | 2-6 | | | | 2-0 |
| 11 | 1. FC KÖLN | | | | | | | 1-1 | 3-2 | | | ■ | 2-2 | | | | 0-1 | | 0-0 |
| 12 | BAYER 04 LEVERKUSEN | | 2-2 | 1-1 | 1-1 | | 2-0 | | | | | | ■ | | | | | | |
| 13 | BORUSSIA MÖNCHENGLADBACH | | | | 2-4 | | 4-1 | 1-0 | | | | | 0-0 | ■ | | | | | |
| 14 | FC BAYERN MÜNCHEN | | | | | | | 2-0 | 3-2 | | | | 1-0 | 1-2 | ■ | | | | 2-0 |
| 15 | TSV 1860 MÜNCHEN | 2-1 | | | | | | | | | | 2-1 | | | 0-2 | ■ | | 1-1 | |
| 16 | FC SCHALKE 04 | 1-1 | | | | 1-3 | | | | 1-1 | 2-1 | | | | | 1-1 | ■ | | |
| 17 | VfB STUTTGART | | | | | | | 3-1 | | | | | 1-4 | 5-0 | | | | ■ | 0-0 |
| 18 | UERDINGEN | | 3-0 | | | | 1-1 | | 1-1 | | | | | | | | 0-1 | | ■ |

| საქართველოს პირველობა<br>დიდი ოთხეული |
|---|
| პარასკევი, 20.X. ვაკე |
| **ყოჩები 15 (12) — თბილისი 24 (10)** |
| მსაჯი გოჩა აბაშიძე (38 + 43) |
| ყოჩები: კვაჭანტირაძე (დუგლაძე, 39); მხეიძე, საკანდელიძე, ბარძიმიშვილი, ნიკლაური; ტეფნაძე, აბუსერიძე; ჩიქოვანი, ჭავჭავაძე, ახვლედიანი (გუშარაშვილი, 51); სულთანიშვილი (ლაზაშვილი, 65), ხურცილავა; ცხვედიანი, ჭელიძე (ტყეშელაშვილი, 61), ურუშაძე. — 2ლ: სულთანიშვილი (17), ჩიქოვანი (21); გ (21) და ს (46): ტეფნაძე |
| თბილისი: ძნელაძე; ვაშაძე (ჭიპაშვილი, 19), ალანია, ჩხენკელი, ქავთარაშვილი; ნეველიძე, ჩაჩუა; მაჭუტაძე, ირემაძე, ცქიტიშვილი; კაცაძე, ლიბრაძე; ჯაფარაშვილი, ჯოხია, გია გიუნაშვილი. — 2ლ: გიუნაშვილი (34, 69); ძნელაძე (34); 3ს: ძნელაძე (38), ნეველიძე (50, 64); ა: ნეველიძე (81) |
| **გუმარი 16 (13) — აია-პეი 16 (13)** |
| მსაჯი ლევან მგელაძე (43 + 44) |
| გუმარი: ნ. იურინი; ბ. იურინი (შ. მოდებაძე, 63 (ძაგანელი, 78)), მაჩიტიძე, ჩიქვინიძე, ბუგიანიშვილი; ი. ლეჟავა, ჯანელიძე; ცაბაძე (გაგნიძე, დროებით, 27-36), მთიულიშვილი, ბერიაშვილი; პარწიკანაშვილი (მაგრაქველიძე, 7 (ობოლაძე, 11)), მჭედლიშვილი; კობახიძე, ზ. ლეჟავა, დიდებულიძე. — ლ: კობახიძე (12); გ და 3ს (18, 40, 79): ი. ლეჟავა |
| აია: ჩუბინიძე; შანიძე (ბზიკაძე, 80), ძონენიძე, ტყაბლაძე, გეგუჩაძე; ე. ძაგნიძე, იობიძე; ფირცხალავა (აშვეთია, 58), ტურძელაძე, ბაბუნაშვილი; აბდალაძე, ლევიძე; ფხაკაძე, რეხვიაშვილი (გოგისვანიძე, დროებით, 58-67), ზვ. ლიპარტელიანი. — ლ (32), გ და 3ს (16, 42, 65): ე. ძაგნიძე |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| აია-პეი | 18 | 14 | 4 | 0 | 419:159 | 47-11 | 32 |
| გუმარი | 18 | 11 | 4 | 3 | 324:218 | 31-16 | 26 |
| თბილისი | 18 | 7 | 2 | 9 | 350:272 | 46-24 | 16 |
| ყოჩები | 18 | 7 | 0 | 11 | 350:397 | 39-44 | 14 |

შემდეგი ტური: 24.X. აია — ყოჩები; 25.X. გუმარი — თბილისი

**შუა ექვსეული**

10.X: რაში 12 (12) (2ლ, გ) — გელათი 22 (13) (ლ, გ, 4ს, ა); ლელო 11 (8) (ლ, 2ს) — დინამო 12 (6) (4ს)

16.X: აზოტი 8 (3) (ლ, ს) — გელათი 0. 17.X: ლელო 17 (ლ, 4ს) — რაში 17 (ლ, 4ს)

ქუთაისის აიეტი გამოაკლდა შეჯიბრს. მის მიერ ნათამაშევი მატჩების შედეგები გაუქმდა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| აზოტი | 5 | 5 | 0 | 0 | 177: 32 | 28- 2 | 10 |
| გელათი | 4 | 2 | 0 | 2 | 81: 35 | 6- 5 | 4 |
| დინამო | 4 | 2 | 0 | 2 | 28: 81 | 1-12 | 4 |
| ლელო | 3 | 0 | 1 | 2 | 35: 90 | 3-12 | 1 |
| რაში | 4 | 0 | 1 | 3 | 29: 92 | 3-10 | 0 |

მოწინავე სამეული საგაისოდ პირდაპირ გადავა უფროს ჯგუფში, მეოთხე გუნდი კი ამ ჯგუფის ბოლო საგზურისთვის ახალ, ჯარის გუნდს უნდა შეეჯიბროს

# „არჩილიჩი" დაგვიბრუნდა და მორიგი „აია — ვაშა!"





ფეხმტკივანი ნუგზარ ძაგნიძის უმცროსმა ძმამ — ემზარმა „აიას" ყველა, 16-ვე ქულა შესძინა და ჩემპიონობა ფაქტობრივად დაუბევა

მარჯვნივ ოთხიწლისწინანდელი გია გიუნაშვილია აღბეჭდილი. 30 წლის „არჩილიჩი" პარასკევსაც ასე და იქნებ უკეთესადაც უტევდა!

გია ახალაძის ფოტოები

რაგბი სეზონის ბოლოსღა დაუბრუნდა ვაკის სტადიონს, რომელსაც საკმაოდ უცვლია იერი — ფეხბურთის ფედერაციის დადგენილებით ასპარეზი საკონცენტრაციო ბანაკხავით ლითონის ბადით შემოუღობავთ. ეს ღონისძიება რაგბსაც რომ მოუხდება, პირველმა საალყო მატჩებმაც დაგვიდასტურა: თამაშის დროს აღარც მოედნის გარშემო დაყიალობდა ვინმე და ველარც ავტოები დამწკრივებულიყვნენ მთავარი ტრიბუნის წინ.

„სასოფლოზე" ხანგრძლივ გადასახლებას ერთობ უვნია მორაგბეების თავმოყვარეობისთვის: ეტყობა ფიქრობენ, ისევ ვაკეში რომ დავბრუნებულვართ, ესეც ვიკმაროთო. ამიტომ იყო, პირველი წყვილის ორსავე მცონარე გუნდს თავიც რომ არ შეეწუხებია, რათა შეესრულებინა წმიდათაწმიდა რიტუალი, რომელსაც ლენინური შაბათობების შესაფერისი ენთუზიაზმი ხლებია უწინ — მოეხსნა და მოედნიდან გაესვენებინა ფეხბურთის კარები, რომლებიც, ერთი რომ, რაგბისათვის სრულიად უცხო საგნებია და მეორეც, მორაგბეებს თავებს გაუტეხავს, უცაბედად ზედ რომ შეასკდნენ.

ის იყო, „ყოჩებს" საწყისი დარტყმა უნდა შეესრულებინათ, რომ რაღაც ეშმაკად შემოსწრებულმა „სარბიელის" მიმომხილველმა მონაწილეებს საჯაროდ შეუკურთხა და კარების მოხსნა შეახსენა. გუნდებს შენიშვნა არ ეპიტნავათ, მაგრამ რაგბის სიწმინდის დამცველები ტრიბუნებზეც მრავლად აღმოჩნდნენ. მათი გამოქომაგების შემდეგ მონაწილეთა დაყოლიება აღარ გაჭირვებულა, მაგრამ ის კი საკითხავი რჩება, კიდევ რა ხანს იბოგინებს ქართულ სარაგბო თემში ხიზნის ფსიქოლოგია.

**„თბილისი" და „ყოჩები"** წელს უკვე მეხუთედ ებმოდნენ ერთმანეთს. მოგებათა ანგარიში საყაიმო იყო 2-2, ბურთების უკეთესი სხვაობით კი „თბილისი" ცხრილში უსწრებდა მეტოქეს.

„თბილისს" დაბრუნებოდა „ელმავალ"-„ვესტას" ორი ძველი მოთამაშე — ნაესპანეთარი რეზო ჯაფარაშვილი და ნამერიკალი გია გიუნაშვილი. ამ უკანასკნელმა, ვისაც ასაკის მატების კვალობაზე „ჩოკინას" ნაცვლად სულ უფრო ხშირად „არჩილიჩად" მოიხსენიებენ, „თბილისის" ნორჩ, იმედისმომცემ ბიჭებს ეშხიანი ბურთაობის მაგალითი უჩვენა — იერიშს რომ დაიწყებდა, იმწამს ხიფათი იქმნებოდა. ერთი სიტყვით, უვარჯიშებელი, მაგრამ დაბრძენებული „არჩილიჩი" ამ მატჩში მთელი თავით მაღლა იდგა დანარჩენებზე, რაც შემთხვევითი როდია — დიდ რაგბში 1984 წლიდანაა, გერმანიასთან მატჩამდე კი ჩვენი ნაკრების 11 კეპი ჰქონდა მოხვეჭილი, რითაც ქართველი „შავარდნების" სიას ერთპიროვნულად ლიდერობდა.

თამაში ჩინებულ დარში მიმდინარეობდა. გიუნაშვილის აქტიურობით „თბილისს" თავიდანვე მიეცა ლელოს გატანის შანსები, მაგრამ ერთი საჯარიმო გაათამაშა, მეორე კი კარს ააცილა. „ყოჩებმა", პირიქით, ერთობ იღბლიანად დაიწყეს: ჯერ იყო და საკანდელიძის გარღვევა ლელოთი დააგვირგვინა სულთანიშვილმა, მერე კი ტეფნაძის მიერ საჯარიმოდან დარტყმული ბურთი ისევ „ყოჩებმა" იგდეს ხელთ და ჯერ ახვლედიანის, მერე კი ჩიქოვანის მიძალება ძალისმიერი ლელოთი დასრულდა 12:0.

„თბილისმა", ვითომც არაფერი მომხდარაო, თამაში ძველებურად გააგრძელა: მორიგი გათამაშებული საჯარიმოს მერე ოსტატურად გადაჯგუფდა და „არჩილიჩიც" ბურთიანად შებრძანდა კარში. მალე მისივე იერიშის შედეგად გასატანი საჯარიმო დაინიშნა 10:12.

მეორე ნახევრის დასაწყისში „თბილისს" ერთი საჯარიმოც რომ გაუცუდდა, დამრტყმელობა მესამე კაცმა — ნეველიძემ გადაიბარა და სამი გოლის გატანაც მოასწრო. ტრავმებმა „ყოჩები" თანდათან გამოხშირა, „თბილისი" კი ნეველიძის გოლებით წინ მეთოდურად გაიჭრა 16:15. მერე გიუნაშვილმა მეორე ლელოც გაიტანა, „ყოჩებმა" ერთი პირობა შვიდკაცას ყაიდაზე თამაშიც სცადეს — ეგების გარდასახულმა ლელომ ერთი ქულით გაგვამარჯვებინოსო, მაგრამ მატჩის უკანასკნელმა დარტყმამ — ნეველიძის არეკნმა „ყოჩებს" ეს ბოლო იმედიც გადაუწურა.

**20 წუთის შემდეგ** დიდი ოთხეულის ლიდერთა — „აიასა" და „გუმარის" მატჩი დაიწყო. ცხრა თბილისელსა და ხუთ ქუთაისელს კვირას მხარდამხარ ეთამაშა ეროვნულ ნაკრებში, ახლა კი საჩემპიონო შინაომი უნდა განეახლებინა.

ეს თამაში შინაარსითა და დაძაბულობით ბევრად სჯობდა წინას. მატჩის მხილველმა 200-მდე მაყურებელმა ბარაქიანი რაგბი ნახა. ამაზე უფრო მეტად სასიამოვნოა ის, რომ ორივე გუნდმა უაღრესად ვაჟკაცურად ითამაშა. სადღა იყო ჯაჯღანი, ლანძღვა-გინება, მსაჯის დასატუქსად გაწევა! ერთი სიტყვით, ჯერ ქუთაურ ვეტერანთა მიერ გახერხებულმა ამერ-იმერის შერიგებამ, მერე კი ქვეყნის უმთავრეს გუნდში ერთად თამაშმა ძალიან არგო ჩვენს მოწინავე მორაგბეებს.

„გუმარმა" აიმატა ნიკოლოზ „ბეირუთ" იურინი, რომელიც ბოლო ორი სეზონი მოსკოვის „ფილის" წამყვანი მოთამაშეა, გაისად კი სამხრეთ აფრიკაში აპირებს გადასვლას. „აიას" აკლდა ფეხმტკივანი ნუგზარ ძაგნიძე. მის ნაცვლად ითამაშა ძმამ — ემზარმა, რომელმაც დიდებულადაც ურტყა და ერთობ თამამი ლელოც გაიტანა.

„გუმარის" მოთამაშეები თავიანთი კლუბისა და ნაკრების მწვრთნელ გურამ მოდებაძეს რომ განუცხადებენ, ქუთათურებს ვჯობნივართო, „ძია ბურძგლა" უმალ იქეთ ჰკითხავთ, მაშ, ექვსი ქულით როგორღა გისწრებენო. „გუმარი" წელს უკვე ხუთჯერ ეთამაშა „აიას" და ორჯერ წააგო, სამჯერ კი ფრეს დასჯერდა.

ფრე თანამედროვე რაგბში ერთობ იშვიათია. „აია" — „გუმარის" ამდენი ყაიმის შემტყობი მავანი ქომაგი სარკასტულად ჩაილიმებს, რაგბი რა წითელი კოჭია, თამაშები რომ არ ეწყობოდესო. ამათნაირებმა, რაც სურდეთ, ისა თქვან, ჩვენმა სარაგბო საზოგადოებრიობამ კი კარგად უწყის და კიდეც ემაყება, რომ სხვა ბურთაობებისგან განსხვავებით საქართველოში გარიგებული რაგბის მატჩების წილი **ნული** პროცენტია!

ლიდერთა მორიგი ფრე განსხვავებული სტილების მორიგი „დიდი ჯახის" ლოგიკური შედეგია. „გუმარი" ბურთაობას ცდილობს, „აია" თავს მედგრად იცავს და თავის შანსს ელის. ახლაც ასე იყო და თუმც „გუმარი" კარგა ხანს იგებდა, „აიამ" იმდენი ჰქნა, რომ სულ ბოლოს ისევ და ისევ თბილისელებს მოუწიათ წინ გაჭრილი მეტოქის დაწევა.

მატჩის დებიუტი „გუმარმა" მოიგო. სოლისებრი იერიშები განახორციელეს ბერიაშვილმა, პარწიკანაშვილმა, ლელო კი ჯანელიძის მუხთალი აბრაგანის მერე გავიდა — ზედ ქუთათურთა კარის წინ ბურთი ისე მარცხიანად ახტა მიწიდან, რომ სტუმრებმა ალღო ვერ აუღეს.

მერე „გაიცვალა" თითო საჯარიმო. მერე გუნდებს თითოც გაუცუდდათ. ორგზის მაგრად შეუტია „რემბო" რეხვიაშვილმა, ვინაც გერმანიასთან არ ათამაშეს. თბილისელთაგან იმავენაირად ზაზა ლეჟავამ და ობოლაძემ გამოიჩინეს თავი. ამასობაში „გუმარმა" თითო საჯარიმო და არეკნი დაფლანგა, არეკნამდე კი „რემბოს" გარღვევის შედეგად დანიშნული საჯარიმო ემზარ ძაგნიძის უეცარი ლელოთი დასრულდა 10:10.

შესვენებამდე გუნდებმა კიდევ თითო გოლის გატანა შეძლეს, მეორე ნახევარი კი ასე წარიმართა: „გუმარი" ძირითადად მესამე ხაზის მარბიელებით მიიწევდა წინ, ხოლო ძაგნიძე ბურთს ან კიდეზე აგზავნიდა, ანაც „ბეირუთაზე" გეშავდა თავისიანებს. აბრაგანები „გუმარმაც" გააგრძელა. ამ ამბავში რომ იყვნენ, ბუგიანიშვილის ერთი იერიში, 48-ე წუთზე, კინაღამ ლელოთი დასრულდა, მასპინძელთა ერთი დარტყმა კარს ასცდა, იურინის მიერ მოუგერიებელი ერთადერთი აბრაგანის შემდეგ კი ძაგნიძემ პირველად დააწინაურა „აია" 16:13.

„გუმარმა" ამ მატჩში სამი 10 ნომერი და სამი დამრტყმელი სცადა: კარში დარტყმული 10 ბურთიდან თითო მაჩიტიძესა და მოდებაძეზე მოდის, დანარჩენებით კი (მათ შორის ერთი არეკნით) ირაკლი ლეჟავამ ოთხი გოლი გაიტანა. ქუთათურთა ყველა, 7-ვე დარტყმა (ერთი არეკნიც) ძაგნიძემ შეასრულა. შედეგი იგივეა — ოთხი გოლი.

„აიას" დაწინაურების მერე ბუგიანიშვილს მალევე ისევ მიეცა ლელოს გატანის მეორე შანსიც, მაგრამ ნ. იურინისა და მისი იერიშის შემდეგ ლელოსკენ გაქანებული გარემარბი სტუმრებმა სასწაულად გადაიყვანეს კიდეზე. ანგარიში ტაიმის 34-ე წუთზე გათანაბრდა, მერე კი უანგარიშო, მღელვარე თამაში გაჩაღდა, თუმც ლელოს გატანის რეალური შანსი მოასპარეზეთ აღარ მისცემიათ.

ფრე „აიას" ხელს აძლევდა. შეჯიბრების ბოლომდე ოთხი ტური რჩება, ქუთათურები კი 6 ქულით უსწრებენ „გუმარს", ვისაც ერთადერთხელ, სულ ბოლო ტურში ეთამაშებიან. „აია" ფაქტობრივად ჩემპიონია, რის გამოც გუნდმა „აია-ვაშა!" დააქუხა.

დიდი ოთხეულის მესამე წრის ბოლო ტურის მიუხედავად უკვე გაირკვა ბოლო წრის წინ გუნდების განლაგება და დაზუსტდა ამ ბოლო წრის თამაშთა თანმიმდევრობაც. პირველ ტურში „აიასთან" თამაში ისევ „თბილისს" მოუწია. ეს თუ იყო იმის მიზეზი, რომ „თბილისის" მარად უკმაყოფილო ხელმძღვანელობა შემოსწყრა კალენდრის შემდგენლებს და საჯაროდ დაბრალა არაკომპეტენტურობა, მერე კი იგივე ბრალდება მთელს რაგბის კავშირზეც განავრცო. არადა, ცოდვა გამხელილი სჯობს და ასე გვგონია, რომ შეჯიბრების გამართვის სისტემების შესახებ რაგბის კავშირის ამ კრიტიკოსთა ცოდნა ოდენ იმით შემოიფარგლება, რომ ოთხგუნდიანი ტურნირის პირველ ტურში პირველ გუნდს, თურმე ნუ იტყვით, მაინცდამაინც მეოთხე უნდა ეთამაშოს. აბა, სხვაფრივ როგორ იქნება!

ზაზა ფხაკაძე

# უცხოური რაგბის კრიალოსანი

სამხრეთში დასრულდა [illegible] სეზონი. იქაური გუნდების [illegible] ტორს [illegible] მაგრამ [illegible] წელს ყველანი უკვე შინ იქნებიან.

| წლის ბოლომდე გასამართი<br>ტესტ-მატჩების განრიგი | | | |
|---|---|---|---|
| 28.X | ბოლონია | იტალია | — ზელანდია |
| 11.XI | ტულუზი | საფრანგეთი | — ზელანდია |
| | რომი | იტალია | — ს. აფრიკა |
| | კარდიფი | უელსი | — ფიჯი |
| 18.XI | პარიზი | საფრანგეთი | — ზელანდია |
| | ლონდონი | ინგლისი | — ს. აფრიკა |
| | დუბლინი | ირლანდია | — ფიჯი |
| | ედინბურგი | შოტლანდია | — სამოა |
| 16.XII | ლონდონი | ინგლისი | — სამოა |

**სამხრეთ აფრიკაში** ნატალს ფრანგმა ლეგიონერებმა რომ მოაგებინეს ქარრის თასი, ამან ქვეყნის რაგბის კავშირს გადააწყვეტინა ირბ-ის იმ დადგენილების შესრულება, მოთამაშეებს ერთი ნახევარსფეროდან მეორეში შეუსვენებლივ გადასვლას რომ უკრძალავს. მსოფლიო რაგბის მამები ამგვარად ებრძვიან ბოლო წლებში აღმოცენებულ ფენომენს, მთელი წლის განმავლობაში მოხეტიალე მორაგბე რომ ჰქვია. გაისად ქარრის თასში უცხოელთა მონაწილეობა შეიზღუდება.

აფრიკელები კვლავაც შეურიგებელი არიან ლიგისადმი, რომელიც მათთან ახალი ხილია და ერთობ სუსტიცაა. თუ მავანი ქვეყნები თავის დროზე ლიგაში გაქცეულებს უპირობოდ უპირებენ შეწყნარებას, აფრიკელებმა ამგვარ ცდომილთათვის შეინარჩუნეს სამწლიანი გამოსაცდელი ვადა, სამოყვარულო ეპოქის ბოლოს რომ დაეწესებინა ირბ-ს.

**ახალ ზელანდიაში** თხუთმეტკაცა და შვიდკაცა ნაკრებების საუკეთესო მოთამაშედ სცნეს გარემარბი ჯონა ლომუ, საშინაო ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ კი — ოკლენდის ბურჯი ოლო ბრაუნი. ჩემპიონატის ფინალში ნაკრების ოკლენდელ კაპიტან შონ ფითსპატრიქს მუშტი უთავაზებია მეტოქის — ოთაგოს კვაჰენთონი ოლივერისთვის, რისთვისაც რვადღიანი დისკვალიფიკაცია მისცეს. შონს იტალია — საფრანგეთის ტურნეს პირველი, ხვალინდელი მატჩი გაუცდება: „ოლ ბლექსი" სიცილიაზე ეთამაშება იტალიის მეორე ნაკრებს. ზელანდიელთა მწვრთნელი ლორი მეინსი ტურნემდე აპირებდა გადადგომას, მაგრამ მერე გადაუფიქრია, აქაოდა საფრანგეთში თუ გამოვთქვამ ჩემს პროტესტს ზღვისრეთში ფრანგთა ბირთვული გამოცდების წინააღმდეგ, უფრო ეფექტური იქნებაო.

**საფრანგეთმა** მოიგო პირველი „ლათინთა თასი", რომელიც ბუენოს-აირესში შაბათს დასრულდა. „მამლებმა" ფინალში 47:12 მოუგეს არგენტინის „პუმებს". შაბათსვე 9-მატჩიანი უელსურ — ირლანდიური ტურნე დაიწყო ფიჯიმ. ზღვისრეთელებმა ბრიჯენდში 25:10 დაამარცხეს უელსის მეორე ნაკრები.

**70 კეპის პატრონი** და 396 ქულის მომხვეჭი რობ ენდრიუ შეეშვა ინგლისის ნაკრებს, რაკილა ძირითადი შემადგენლობიდან გარიცხა მისმა კლუბმა — ლონდონის „ვოსფსმა". მიზეზი ისაა, რომ ენდრიუ ნახალწლევს II ჯგუფის „ნიუკასლ იუნაიტედ სპორტინგ კლაბში" გადადის რაგბის დირექტორად. შაბათს „ვოსფსმა" შინ 11:21 წააგო „ლესთერთან", „ბასმა" კი სტუმრად 19:13 მოუგო ლონდონის „ჰარლიქვინზს". ათგუნდიან I ჯგუფში 7 ტურის შემდეგ „ბასს" 14 ქულა აქვს, „ლესთერს" — 12, „ჰარლიქვინზს" კი — 10.

**ყურადღება! თამაშდება სინი!**

**ხვალ, ოთხშაბათს, დღის ოთხის ნახევარზე, ვაკის სტადიონზე წელს უკვე მეხუთედ გათამაშდება ამერის საუკეთესო გუნდის სარგო გარდამავალი ჯილდო**

**„სარბიელის" სინი.**

**მის უცვლელ მფლობელ „გუმარს" მესამედ ეცილება „თბილისი".**

**იჩქარეთ დიდი რაგბის დასაჭაშნიკებლად!**

სარბიელი

## აქეთური, იქითური

დაიწყო კეტბურთის მსოფლიო სერია, რომელშიც ეროვნული ლიგის რჩეული „ატლანტა ბრეივზი" ამერიკის ლიგის ჩემპიონ „კლივლენდ ინდიანზს" ეთამაშება. საწყისი ორი მატჩი შაბათ-კვირას ატლანტაში გაიმართა. მასპინძლებმა ორივე მოიგეს — 3:2 და 4:3, თუმცა თავიდან ორივეს აგებდნენ. დღეიდან სერია კლივლენდში გაგრძელდება.

*

შეიძლება ისე მოხდეს, რომ საგაისო, ატლანტის ოლიმპიადაზე პროფესიონალი კეტბურთელებიც დაუშვან. ამ საკითხზე იმსჯელებს საერთაშორისო ასოციაციის (IBA) კონგრესი, რომელიც მალე გაიმართება ჰავანაში. იაპონია და იტალია ოლიმპიადებში პროფესიონალთა ჩაბმას ემხრობიან, მაგრამ ლათინური ამერიკის ქვეყნები ფინანსური მოსაზრებების გამო ფეხს ითრევენ.

*

გოლფის სამატჩო გუნდური ჩემპიონატი — ჩოგბურთის დევისის თასის ანალოგი „ალფრედ დანჰილის თასი" პირველად მოიგო შოტლანდიამ. შეჯიბრი 19-22 ოქტომბერს გაიმართა შოტლანდიაში, სენთ-ენდრიუზის კლუბში. მონაწილეობდა 16 სამკაციანი გუნდი, რის გამოც თითო მატჩი სამი შეხვედრისაგან შედგებოდა. „ა" ჯგუფში სამგზის ჩემპიონმა ირლანდიამ აჯობა პირველ ნომრად განთესილ აშშ-ს, შარშანდელ ჩემპიონ კანადასა და შვედეთს. „ბ" ჯგუფში შოტლანდიამ გაასწრო სამხრეთ აფრიკას, გერმანიასა და ტაივანს, „გ" ჯგუფში ესპანეთმა აჯობა ინგლისს, ავსტრალიასა და არგენტინას, „დ"-ში კი ზიმბაბვემ უკან მოიტოვა უელსი, ზელანდია და იაპონია. ნახევარფინალში შოტლანდიამ სძლია ირლანდია, ზიმბაბვემ კი — ესპანეთი. ფინალში შოტლანდიამ 2-1 მოუგო ზიმბაბვეს: ენდრიუ კოლტჰარდმა 67:71 აჯობა ტონი ჯონსთონს, სემ თორენსმა 68:70 — მარკ მაკნალთის, კოლინ მონთგომერი კი 74:68 დამარცხდა ნიკ პრაისთან. პრაისი, თორენსი და მონთგომერი მსოფლიოში გამოჩენილი მეგოლფეები არიან. „დანჰილის თასის" გარდა სქოთებმა ჯილდოდ 300 ათასი გირვანქაც მიიღეს.

*

ავსტრალიისა და ახალი სამხრეთი უელსის ტაფელოსანმა სტივ ვორმა „ჯეკპოტი" დაირტყა — პერთში, დას. ავსტრალიასთან თითოდღიან საკრიკეტო მატჩში თამაშისას ბურთს ისე დაჰკრა, რომ არა მარტო ექვსი გარბენი მიითვალა, არამედ ღობის თავზე, ორნახევარი მეტრის სიმაღლეზე დახატულ სპონსორის სასაქონლო ნიშანს გაარტყა ბურთი და ჯილდოდ 100 ათასი ამერიკული დოლარი ჩაიჯიბა.

*

წინა კვირაში 30 წლისა ალესრულა ინგლისელთა სათაყვანო ბედაური „რედ რამი", რომელსაც სამჯერ — 1973, 1974, და 1977 წლებში მოუგია სახელგანთქმული ლივერპულის სტიპლ-ჩეიზი, ე.წ. დიდი ეროვნული. 1979 წელს პენსიაში გასული ცხენი მეჯინიბეებმა ოთხშაბათ დილით ისეთ საცოდავ დღეში იხილეს, რომ დაკლეს და ლივერპულის იპოდრომის ფინიშთან დამარხეს. ინგლისელებს „რედ რამი" ისე უყვარდათ, რომ დაბადების დღეს ცხენი ურიცხვ მისალოც ბარათს იღებდა ხოლმე.

*

ბოლო თვის მანძილზე ტვინში სისხლის ჩაქცევამ იმსხვერპლა ორი ფილიპინელი მსუბუქი წონის მოკრივე, რომლებიც ზედმეტი წონის დასაგდებად ეტანებოდნენ იმ წამლებს, ტვინს რომ კუმშავს და ძლიერი დარტყმებისადმი ერთობ მოწყვლადსა ხდის.

## კალათბურთი

მაკდონალდსის ღია პირველობა
ლონდონი. „დოქლენდს ერინა"

19.X. მეოთხედფინალები: „ბაკლერ ბოლონია" (იტალია) — „მაკაბი თელ-ავივ" (ისრაელი) 112:103; „რეალ მადრიდ" (ესპანეთი) — „შეფილდ შარქს" (ინგლისი) 99:71

20.X. ნახევარფინალები: ბაკლერი — რეალი 102:96; „ჰიუსტონ როკიტს" (აშშ) — „პერთ ვაილდ ქეთს" (ავსტრალია) 116:72

21.X. ფინალები: (V-VI ადგილებისთვის) მაკაბი — შეფილდი 107:89; (III-IV) პერთი — რეალი 93:86; (I-II) ჰიუსტონი — ბაკლერი 126:112



## „ბაკლერმა" შეაშინა „როკიტსი"

„მაკდონალდს ოუპენ" ფაქტობრივად მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატია. მის მონაწილეებს ორგანიზატორები პერსონალურად იწვევენ. შეჯიბრის მიზანი კალათბურთის პროპაგანდა და სხვადასხვა კონტინენტის საკლუბო გუნდების დაახლოებაა. ამიტომაა, რომ წვეულთა შორის მუდამ ყოფილა კალათბურთის ეროვნული ასოციაციის (ნბა) წარმომადგენელი.

წლევანდელ, რიგით მეშვიდე „მაკდონალდსს" ლონდონის მუშური უბნის — დოქლენდსის დარბაზმა უმასპინძლა. ნბა-ის გუნდებს წინა წლებში ერთი თამაშიც არ წაუგიათ, თუმც ასოციაციას ჩემპიონი არასოდეს მიევლინა დანარჩენ სამყაროსთან გასაჯიბრებლად.

წელს სხვაგვარად იყო. ნბა-ს ღირსებას იცავდა თვით „ჰიუსტონ როკიტსი", თავისი რუდი ტომიანოვიჩითა და აკიმ ოლაჯოუნითურთ, თუმც „დიდ შავ აკიმს" იდაყვი სტკიოდა, რის გამოც ერთი წუთიც არ უთამაშია, მაგრამ სათადარიგოთა სკამზე კი იჯდა.

შეჯიბრს კიდევ რამდენიმე ახალბედა ჰყავდა: ისრაელის 35-გზის ჩემპიონი თელ-ავივის „მაკაბი", ავსტრალიის ახალი ჩემპიონი პერთის კლუბი და ინგლისის მეორე კლუბი — „შეფილდელი ზვიგენები" (?).

ორგანიზატორებს სატურნირო ბადე ისე შეედგინათ, რომ ფინალში ევროპის გუნდი შეხვედროდა გადამთიელს. ამათთვის ხარჯებიც რომ შეემცირებინათ, პირდაპირ ნახევარფინალში დაუშვეს.

ევროპის მინი-ჩემპიონატი იტალიელებმა მოიგეს. ტრავმებით შესუსტებულ, მაგრამ ნბა-ელი ტომ ჩამბერსის შემატებით მოღონიერებულ ებრაელებს მათ დააჯახეს ასევე ექს-ნბა-ელი, 36 წლის ორლანდო ვულრიჯი, ვინაც „მაკაბის" 30 ქულა ჩაუგდო.

იგივე განმეორდა ევროპის ჩემპიონ „რეალის" წინააღმდეგ. ესპანეთის კლუბი ერთი პირობა 10 ქულითაც იგებდა, მაგრამ ვულრიჯმა და ხორვატიის შვილმა არიან კომაზეცმა (ფოტოზე № 6) „ბაკლერი" მაინც გაიყვანეს ფინალში.

გადამთიელთა ნახევარფინალში ავსტრალიელები თავიდან შოკში აღმოჩნდნენ და სამი წუთი ბურთიც ვერ ჩააგდეს, საბოლოოდაც „მაკდონალდსებისთვის" სარეკორდო სხვაობით — 44 ქულით დამარცხდნენ, მაგრამ თამაში რომ იციან, შაბათს დაამტკიცეს, როცა მესამე ადგილისათვის გამართული მატჩი „რეალს" მოუგეს.

დიდ ფინალზე დარბაზი გაიჭედა. მუსიკა გრგვინავდა, რაც ჰიუსტონელებს არ ესიამებოდათ, ვინაიდან ნბა-ში აიკრძალა მეტისმეტი ხმაურობა. ბილეთების გადამყიდველებიც ყვლეფდნენ იშვიათი სეირის ხილვის მსურველ ბრიტანელებს.

„ბაკლერმა", რომელმაც 1993 წლის ფინალი წააგო „ფინიქს სანზთან", ყოჩაღად დაიწყო და პირველ მეოთხედში 17:10 დაწინაურდა, მაგრამ მეორეშივე რობერტ ჰორისა და სემ კასელის წყალობით „როკიტსმა" გაუსწრო მეტოქეს. ამერიკელებმა ბოლოსდაბოლოს 14 ქულით მოიგეს, თუმც ბოლონიის გუნდმა ტოლი არაფერში დაუდოთ. ფინალის უძვირფასეს მოთამაშედ ჰიუსტონელი კლაიდ დრექსლერი (№ 22) სცნეს, გუნდმა კი პირველი პრიზი — 50 ათასი დოლარი მიითვალა.








## ჩოგბურთი

## აფრიკელებმა აიწყვიტეს

წინა კვირა იღბლიანი გამოდგა სამხრეთაფრიკელი ჩოგბურთელებისათვის: ერთმა, ვეინ ფერერამ ლიონში მოიგო პროფესიონალთა ასოციაციის ტურის ტურნირი, მეორემ — ამანდა კეტცერმა ბრაითონის (ბრიტანეთი) ქალთა შეჯიბრის ფინალში გააღწია, მესამემ — მარიან დესვარტმა (ჩვენებურად „შავიშვილმა") კი იქვე ნახევარფინალში ითამაშა.

ბრაითონის შეჯიბრი წელს მე-18-ედა და უკანასკნელად გაიმართა, ვინაიდან გაისად სპონსორი ხელიდან გამოეცლება. ბოლო შეჯიბრის წარმოსაჩინებლად მასპინძლებმა თვით შტეფი გრაფი მიიწვიეს, მაგრამ ნაირ-ნაირ სკანდალებში გახვეულმა გერმანელმა ქალმა მეორე წრეშივე წააგო დესვარტთან 2:6, 6:4, 1:6. იმავე დღეს გავარდა შარშანდელი ჩემპიონი და მეორე ნომერი, ჩეხი იანა ნოვოტნაც, ვისაც ორ ხელში მოუგო კეტცერმა. სხვათა შორის, წელს გრაფმა სულ ორი მატჩი წააგო და ორივე სამხრეთაფრიკელებთან — კეტცერთან და დესვარტთან, ბრაითონში კი საბოლოოდ გაიმარჯვა ამერიკელმა მერიჯო ფერნანდესმა (4), ვინაც ფინალი 6:4, 7:5 მოიგო.

ლიონის შეჯიბრების ფინალში ფერერამ დაამარცხა მსოფლიოს პირველი ჩოგანი პიტ სამპრასი 6:7, 7:5, 6:3, ნახევარფინალში კი რუს ევგენი კაფელნიკოვს (2) 1:6, 7:6, 6:3 მოუგო. რაც შეეხება ვენის შეჯიბრებას, სადაც არასოდეს გაუმარჯვნია ავსტრიელს, მასპინძლებს თომას მუსტერის იმედი ჰქონდათ, მაგრამ ამან ფინალში წააგო ახალბედა გოლიათ ფილიპ დევულფთან (ბელგია) 5:7, 2:6, 6:1, 5:7.

ირაკლი ნინუა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობითა და პარასკეობით. ინდექსი 66 441

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
გია ახალაძე
ილია ბაბუნაშვილი
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
ზურაბ მეძველია
მერაბ რატიშვილი
მამუკა ჩიხლაძე
(ტექნიკური რედაქტორი)

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29


## ლიგა

## ბარემ პირდაპირ ნახევარფინალით დაეწყოთ!

| საიუბილეო მსოფლიო თასი. ბრიტანეთი<br>ნახევარფინალები |
|---|
| 21. X. მანჩესტერი. ინგლისი 25 (11) (5ლ, 2გ, ა) — უელსი 10 (4) (ლ, 3გ) |
| 22. X. ჰადერსფილდი. ავსტრალია 30 (20) (6ლ, 3გ) — ახ. ზელანდია 20 (20) (4ლ, 2გ) (დამატებით დროში) |




ლიგის (რაგბის) საიუბილეო — ასწლოვან მსოფლიო თასს ოთხი გუნდი რომ შემორჩა, საინტერესო მატჩები გაჩაღდა.

ოთხი წლის წინ აღორძინებული უელსი „ოლდ ტრეფორდზე" მთელი თამაში კბილებით ეომა ინგლისს. მე-15 წუთზე ინგლისელთა 13 ნომერმა ფილ ქლარქმა უხეშად შებოჭა უელსელი სქოთ ქვინელი, რისთვისაც დანიშნული საჯარიმო ჯონათან დევისმა გოლად აქცია 2:0. ინგლისელმა ენდი ფარელმა საჯარიმოთი მალევე გაათანაბრა ანგარიში, რასაც მალე პოლ ნიულავის ლელო მოყვა 6:2. მერე დევისმა კიდევ ერთი საჯარიმო გაიტანა, რასაც მოყვა ინგლისელთა 7 ნომრის (შერკინების ნახევარმცველის) ბობი გულდინგის არეკნი (ერთი კინკილა ქულა) და კაპიტან დენის ბეთსის ლელო (4 ქულა) 11:4.

მეორე ნახევარში უელსი დაამარცხა გულდინგის ჯვარედინმა დარტყმებმა. მათ შედეგად გარემარბმა მარტინ ოფაიერმა ორი ლელო გაიტანა 19:4. უელსმა მაინც გაიბრძოლა და რომან ფილიპსის ლელოთი და დევისის გოლით ცოტა წამოეწია მეტოქეს 10:19, მაგრამ ბოლო წუთზე ქლარქის მიერ გატანილმა ლელომ ხელი მოუთავა.

კვირას ლიგის ადგილის დედის — ჰადერსფილდის ახალ სტადიონზე დიდი თამაში გამართეს სამხრეთელმა ბობოლებმა — ავსტრალიის „კენგურუმ" და ზელანდიის „კივიმ". გაგანია სამხრეთულ სეზონში მეზობლები სამტესტიან სერიაში წელს უკვე შეჯიბრებოდნენ ერთმანეთს და სამივე მატჩიც „კენგურუს" მოეგო — 26:8, 20:10 და 46:10.

ახლაც, საწყის 10 წუთში ავსტრალიამ სულ მთლად დაიბრიყვა მეტოქე და 10:0 დაწინაურდა, მე-60 წუთისთვის კი სთივ მენზისის ორი, აგრეთვე ქოინისა და ბრაშერის თითო ლელოებით „კენგურუები" 20:6 იგებდნენ. მერე კინაღამ სასწაული მოხდა — ზელანდიელებმა ბარნეთმა, ტონი აირომ და კევინ აირომ ლელოები გაიტანეს და ანგარიში გაათანაბრეს 20:20, მაგრამ „კივის" დედით სომეხ კაპიტან მეთიუ რიჯს ჯერ გარდასახვა გაუცუდდა, ძირითადი დროის ბოლო წამებზე კი მის მიერ დარტყმული არეკნიც ასცდა კარს.

დამატებით დროში ისევ მსოფლიოს ჩემპიონებმა — „კენგურუებმა" იძალეს: ჰილმა და კაპიტანმა ფითლერმა თითო ლელო გაიტანეს 30:20.

წინდაწინ დაგეგმილი ფინალი: ავსტრალია — ინგლისი შაბათს, 28 ოქტომბერს, „უემბლიზე" გაიმართება. მატჩი ჩვენი დროთ საღამოს 7 საათზე დაიწყება. იქვე, „უემბლიზე", სამი კვირით ადრე გამართული გახსნის მატჩი ინგლისმა 20:16 მოიგო.

ჟაფლან ჯანდიერი